ესპანეთი ევროკავშირს დახმარებას სთხოვს

A3

„ოქროს კარიბჭედან" დანახული სამშობლო

A5

დაივინჩი)კოდილი ფესტივალი

A5

www.24saati.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 19 მაისი, 2006 წელი. №109 (1261)

ფასი 50 თეთრი

ამბები

„პოლიტიკური მატარებელი" არარენტაბელურია

შეიძლება ბათუმი-ოზურგეთის მატარებელი წამგებიანი იყოს დაბალი ღირებულების გამო, მაგრამ მოსახლეობას მიაჩნია, რომ მარშრუტის მოხსნას ჩვენი რეალობისთვის ნიშანდობლივი და თანამდევი აქტი - ფასის გაზრდა აჯობებდა.

A2

პოლიტიკა

რუსეთის ფედერაციის საბჭოს დელეგაცია აფხაზეთში

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დელეგაცია, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ ოზეროვის ხელმძღვანელობით აფხაზეთში არსებულ ვითარებას გაეცნო.

A3

სამართალი

ომბუდსმენი მოსამართლეების წინააღმდეგ

სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს იმ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დასმას სთხოვს, რომლებმაც, ომბუდსმენის აზრით, გადაწყვეტილებები კანონის სრული იგნორირებით გამოიტანეს.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	19/05	20/05
თბილისი	26	27
ქუთაისი	20	26
სოხუმი	20	25
დმანისი	17	22
გორი	20	25
ონი	14	22
ზუგდიდი	21	28
ახმეტა	26	27
გაგრა	21	25
სამტრედია	22	28

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.8000
ევრო	2.3025
ბირვანქა სტერლ.	3.4002
რუბლი	0.0665

ამბები	A 2
პოლიტიკა	A 3
სამართალი	A 4
რევიუ	A 5
ტენდერი	A6-A8

სუამი

დსთ-ს შემცვლელი თუ ოპონენტი?

სოფო ბუკია

„სუამი არ არის მეგობრობა ვინმეს წინააღმდეგ", - ამტკიცებს კიევი. მოსკოვი კი შიშობს, რომ სუამის წევრი ქვეყნები კიევის სამიტზე დსთ-დან გასვლის შესახებ განცხადებას გააკეთებენ.

22-23 მაისს კიევი სუამის წევრი-ქვეყნების პრეზიდენტებს უმასპინძლებს. რეგიონული ორგანიზაცია, რომელმაც ერთი „უ" გაერთიანებიდან უზბეკეთის გასვლის შემდეგ დაკარგა, ახალ სახელწოდებას მოირგებს - „სუამი - ორგანიზაცია დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარებისთვის".

კიევის სამიტის დღის წესრიგის ძირითადი მონახაზი უკვე მზადაა.

სამიტის ფარგლებში ხელი მოეწერება დოკუმენტს, რომლის მიხედვითაც, რეგიონული საერთაშორისო გაერთიანება სუამს ოფიციალურად მიენიჭება საერთაშორისო ორგანიზაციის სტატუსი.

ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების წარმომადგენლები სუამის წესდებას, დეკლარაციას და კომუნიკეს მიიღებენ.

გაგრძელება A3 გვერდზე

„ივანოვის კედელი"

რუსეთსა და საქართველოს შორის

საქართველოსა და რუსეთს შორის დემონსტრაციულად მძლავრი საზღვარი აღიმართება, - ამის შესახებ რუსეთის თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა. **„ამჟამად კასპიიდან შავ ზღვამდე ძლიერ და დემონსტრაციულად მძლავრ საზღვარს ვქმნით, რადგან ამ მონაკვეთზე ტერორისტები დადიან და ამას ჩვენი მოსაზღვრე ქვეყნები ღიად აღიარებენ,"** - აცხადებს ივანოვი.

თავდაცვის მინისტრის მტკიცებით, 2000 წლიდან რუსეთის სპეცრაზმმა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე 50 ქვეყნის შეიარაღებული მოქალაქეები გაანადგურა. **„ყველანი ჩეჩნეთში მეგობრული საქართველოდან სტანდარტული სქემით მოხვდნენ. ქართული ორდღიანი ტურისტული ვიზა და 2-3 წლის შემდეგ იგი ავტომატითა და ბომბით ხელში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ჩნდება"**, -აცხადებს ივანოვი.

შეკითხვაზე, როგორ მოიქცევიან რუსი სამშვიდობოები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში თბილისის მხრიდან ძალისმიერი მეთოდის გამოყენებისას, ივანოვმა აღნიშნა, რომ მოვლენების განვითარების ეს ვარიანტი დაუშვებელია. **„ნებისმიერ შემთხვევაში ეს უკვე ომია და რუსი სამშვიდობოები მკაცრი, განსაზღვრული და არაორაზროვანი მანდატის ფარგლებში იმოქმედებენ,"** - განაცხადა სერგეი ივანოვმა.

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე ივანოვის განცხადებას „უცნაურს" უწოდებს.

გაგრძელება A3 გვერდზე

თურქული Sanal-ის ქართველი წინამძღოლი

გია ბებია.

B

ეთერ მამულაშვილი

27 წლის ქართველ გია ბებიას გული ძალიან წყდება, რომ საკუთარი შრომით საქართველოს კი არა, თურქეთის ბიუჯეტს ამდიდრებს, და რომ საკუთარ ბიზნესში ქართველების ნაცვლად თურქები ჰყავს დასაქმებული. ის თურქეთში ძალიან პოპულარული Sanal-ის (შანალის) სავაჭრო ცენტრების ერთ-ერთი მესაკუთრეა. თუკი სტამბულში ან იზმირში ერთხელ მაინც ყოფილხართ, გია ბებიას სავაჭრო ცენტრებს თვალს აუცილებლად მოჰკრავდით. როგორც ამბობენ, "შანალში" საყიდლებზე სიარული თურქების სუსტი წერტილი ყოფილა.

კოსოვოს პრეზიდენტი არ გამოდგება კავკასიაში

ბრიტანულ გამოცემა „ფაინენშლ თაიმს"-ში გუშინ გამოქვეყნდა ამერიკელი მიმომხილველის ზეინო ბარანის წერილი გაზეთის რედაქციისადმი, სადაც იგი ამავე გაზეთში უფრო ადრე გამოქვეყნებულ ანალიტიკურ სტატიას ეხმაურება.

ზეინო ბარანი
ევროპული პოლიტიკის ცენტრის დირექტორი, ჰადსონის უნივერსიტეტი

„თომას დე ვაალის მცდელობა კოსოვოს დამოუკიდებლობის საკითხი საქართველოში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებული „გაყინული კონფლიქტების" მიმართ განევრცოს, საფუძველშივე მცდარია (*იხ.* **„მოლაპარაკებები კოსოვოს შესახებ, არ ნიშნავს მხოლოდ კოსოვოს შესახებ მოლაპრაკებებს"**, 10 მაისი.)

თეორია, რომ კოსოვოს მაგალითმა შესაძლოა, საერთაშორისო პრეცედენტი წარმოშვას, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის მიერ ჭკვიანურად დაგეგმილი მანევრია, დასავლეთში საკითხისადმი დამოკიდებულების გასახლეჩად. თუმცა, ბატონი პუტინის ფანდი ოსტატურად უვლის გვერდს ჩეჩნეთს, საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიასა და დასავლეთ ევროპასაც, სადაც კოსოვოს პრეცედენტი შესაძლოა, პანდორას ყუთი აღმოჩნდეს სეპარატიზმის ლეგალიზების თვალსაზრისით.

კოსოვოში მცხოვრები მოსახლეობის უმეტესობა სერბეთის მიერ ინიცირებულ ეთნიკური წმენდის, მკვლელობებისა და აგრესიის მსხვერპლს წარმოადგენს. კოსოვოსგან განსხვავებით, საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში არსებობს მესამე მოთამაშე - რუსეთი, რომელიც ხელს უწყობდა, როგორც სეპარატიზმის გაძლიერებას, ასევე დღევანდელი მყიფე პოსტკონფლიქტური სტატუს კვოს შენარჩუნებას.

გაგრძელება A3 გვერდზე

გეგმური აურზაური პარლამენტში

ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები ცდილობენ, ბოიკოტის გამოცხადებით მიღებული „ზარალი", საკომიტეტო მოსმენების დროს, მთავრობის ცალკეული წევრების კრიტიკის ჭარბი დოზით აინაზღაურონ. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის გუშინდელი სხდომა საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა. ამ თავყრილობაზე ფრაქცია „მრეწველების" თავმჯდომარე ზურაბ ტყემალაძე და „დემოკრატიული ფრონტის" წარმომადგენელი ბეჟან გუნავა ჩვეულებრივზე მეტად აქტიურობდნენ.

გიორგი ასანიშვილი

ზურაბ ტყემალაძეს ფინანსთა მინისტრი ლექსო ალექსიშვილი უკვე დიდი ხანია, მიზანში ჰყავს ამოღებული. მათი მორიგი შეტაკება გუშინდელ სხდომაზე მას შემდეგ დაიწყო, როდესაც ალექსიშვილმა პარლამენტარებს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კუთხით გაწეული საქმიანობის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია.

„2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, მიუხედავად იმისა, რომ მის პარამეტრებში, გაზრდის თვალსაზრისით, რამდენჯერმე შევიდა ცვლილებები, მაინც გადაჭარბებით შესრულდა. დაფინანსდა ყველა ის ხარჯი, რომლის დაფინანსებაც იგეგმებოდა," - ფინანსთა მინისტრის ეს განცხადება „მრეწველების" თავმჯდომარემ უპასუხოდ არ დატოვა. მან საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრებს რადიკალურად განსხვავებული სურათი დაუხატა.

გაგრძელება A2 გვერდზე

რატომ ძვირდება წამლები?

ქვეყანაში ფასების ზრდა თითოეული ჩვენგანის ჯიბეზე დადებითად რომ არ აისახება, ცხადია. ამ პროცესს სახელმწიფო მოხელეები ინფლაციით ხსნიან. ძირითადად იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყანაში ფასების დარეგულირება ძნელია, თუმცა, ასევე ძნელია ცხოვრება იმ კატეგორიის ადამიანებისთვის, ვისი ვიწრო ჯიბეც ამ „სიახლეს" ვერ წვდება.

თამარ ქადაგიძე

ვახტანგ ბეჟანიძე ყველაზე მეტად მედიკამენტების ფასების გაძვირებას განიცდის. თავად როგორც ამბობს, ფასი იმ მედიკამენტებზე, რომელსაც მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, პერმანენტულად მატულობს. **„ანალგინის" და „ლევომიცეტინის" ყიდვისას, შეიძლება მომატებული ფასი არც შეიმჩნიო, მაგრამ, როდესაც გიწევს საკმაოდ ძვირად ღირებული ანტიბიოტიკების ყიდვა, ფასის მომატებას აუცილებლად იგრძნობ,"** - გვითხრა მან.

წამლების გაძვირების პროცესი ეტაპობრივად ხდება. მაგალითად, ნებისმიერ აფთიაქში, მედიკამენტების ჩამონათვალში ყოველდღიურად, რომელიმე დასახელების წამლის ფასი მატულობს. დაახლოებით ერთი კვირის წინ, კი ყველა წამალი ერთად გაძვირდა.

როგორც ირკვევა, ქვეყანაში წამლის ფასის რეგულირებას არც ერთი სახელმწიფო უწყება არ ახორციელებს, ვინაიდან საამისოდ არანაირი იურიდიული ბერკეტი არ არსებობს. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს ხელმძღვანელი თინა ტურძელაძე აცხადებს, რომ **„მედიკამენტების ფასების რეგულირება ჩვენს კომპეტენციაში არანაირად არ შედის. როდესაც ოფიციალურად ვყიდულობთ, მხოლოდ მაშინ ვნახულობთ ფასს, რომელიც სახელმწიფოში არ რეგულირდება. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მინისტრის ბრძანებით მხოლოდ, ნარკოტიკების ფასს არეგულირებს,"** - გვითხრა წამლის სააგენტოს ხელმძღვანელმა, რომელიც იმედოვნებს, რომ დისტრიბუტორები მოსახლეობის ინტერესებს გაითვალისწინებენ და მედიკამენტების ფასების ზრდა აღარ მოხდება.

ჯანდაცვის სამინისტროს წარმომადგენლებმა ეკონომიკის სამინისტროსკენ „გადაგვამისამართეს". ეკონომიკური განვითარების სამინისტროს კონკურენციისა და თავისუფალი ვაჭრობის სააგენტოს უფროსის გიორგი წერეთლისგან როგორც შევიტყვეთ, წამლის ფასს შემომტანი ფირმები აწესებენ, ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შესაბამისი ლიცენზიის გაცემის შემდეგ. **„რაზეც სახელმწიფო რეგულირება არ ხდება, ცხადია, თავისუფალ ფასში იყიდება. ესეც ერთგვარი ბიზნესია. წამლის დისტრიბუტორი უცხოეთიდან შემოტანილ მედიკამენტს გაყიდის იმდენად, რომ მოგება ნახოს."**

გაგრძელება A2 გვერდზე

გეგმური აურზაური პარლამენტში

ჰირველი გვერდიდან

ტყემალაძის მტკიცებით, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების პარამეტრი 75 მილიონი ლარით გაირღვა. მისივე თქმით, წლების განმავლობაში საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი საერთო ბიუჯეტთან მიმართებაში თანდათან მცირდება და თუ 2004 წელს საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი საერთო ბიუჯეტში 79% იყო, გასულ წელს ეს მაჩვენებელი 73%-მდე შემცირდა.

„2005 წელს ვერ შესრულდა შემოსავლების ვერც ერთი მაჩვენებელი. ასეთი განცხადების საფუძველს იძლევა კონტროლის პალატის მიერ გაკეთებული დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ მთავრობის ანგარიშში ბევრი რამ ერთმანეთთან შეუსაბამოა,“ - განაცხადა ტყემალაძემ.

ოპოზიციონერი დეპუტატი კიდევ ერთხელ იმეორებს თავის საყვარელ ლოზუნგს იმის შესახებ, რომ ფინანსთა სამინისტროში არაპროფესიონალები მუშაობენ და ამ „მტკიცებულებიდან“ გამომდინარე, ლექსო ალექსიშვილის უწყების მუშაობას ნეგატიურად აფასებს.

ირაკლი ლეჟავა, ფოტო

ტყემალაძე კვლავ ფინანსთა მინისტრს აკრიტიკებს.

„კარგია, რომ ბიუჯეტი 3 მილიარდამდე გაიზარდა, მაგრამ რომ არა მთავრობის უცოდინარობა, ბიუჯეტი 4-5 მილიარდი გვექნებოდა,“ - ირწმუნება ტყემალაძე.

გუშინ იგი ფინანსთა მინისტრს კიდევ ერთხელ მაშინ „დაეტაკა“, როდესაც ლექსო ალექსიშვილმა კონტრაბადის წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებებით მოიწონა თავი. მინისტრის თქმით, 2005 წლის განმავლობაში, საბაჟო შემოსავლების სახით, ბიუჯეტში, ყოველთვიურად, 100 მილიონი ლარი შემოდიოდა, რაც გასულ წლებში სრულიად წარმოუდგენელი იყო.

კონტრაბანდის მინიმუმამდე შემცირების თაობაზე მთავრობის წარმომადგენლის საუბარი ზურაბ ტყემალაძეს სასაცილოდ არ ჰყოფნის. მისი განცხადებით, რეალობა სხვაა, სახელისუფლებო სტრუქტურების მიერ მოყვანილი ციფრები კი - სხვა.

„განა, ვინმე სერიოზულად მიიღებს სტატისტიკის დეპარტამენტის ოფიციალურ ინფორმაციას, თითქოს, საქართველოს ერთი მოქალაქე დღეში მხოლოდ 58 გრამ პურს მიირომევს, პურის ზოგიერთი საწარმოს ბრუნვა კი დღეში მხოლოდ ერთი-ორი ლარია?“ - ვერაფრით დააწყნარეს ტყემალაძე. „მრეწველების“ თავმჯდომარის თქმით, სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, გასულ წელს უმუშევრობა, 2002 წელთან შედარებით, 100 ათასი ადამიანით გაიზარდა და ამიტომაც, უცნაურია, როდესაც ალექსიშვილი საბიუჯეტო წარმატებებზე საუბრობს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის სხდომაზე ტყემალაძეს ბეჟან გუნავამაც აუბა მხარი, რომელიც ჩივის, რომ **„ალექსიშვილმა დეპუტატებს ბუნდოვანი და დეზინფორმაციული ანგარიში წარუდგინა“.**

საპასუხოდ, ფინანსთა მინისტრმა საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები სიცრუესა და დემაგოგიაში დაადანაშაულა. **„ოპოზიციონერთა განცხადებებში, შინაარსის გარდა, ყველაფერი იყო. როგორც ჩანს, ოპოზიციონერებს ან სიმართლის გაგება არ სურთ ან ფინანსთა სამინისტროს ანგარიშის წაკითხვა ეზარებათ,“** - ოპონენტების „დაბალ წონით კატეგორიას“ უჩივის ლექსო ალექსიშვილი.

„პოლიტიკური მატარებელი“ არარენტაბელურია

თამაზ ხარაიშვილი
ოზურგეთიდან

აჭარის რევოლუციის შემდეგ მომხდარი ცვლილებების ნუსხაში არცთუ მეორეხარისხოვანი ადგილი განეკუთვნებოდა იმ ფაქტს, რომ აღდგა სარკინიგზო მიმოსვლა ოზურგეთსა და ბათუმს შორის და მოძრაობა განაახლა საგარეუბნო სექციამ. თავის დროზე, ამ მარშრუტის გაუქმებას არცთუ უსაფუძვლოდ უკავშირებდნენ სწორედ ასლან აბაშიძის სახელს და იგი აჭარის დიქტატორის ვაი-პოლიტიკის გამოძახილად მიაჩნდათ. აღდგენილი რეისით კი პირველად საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და აჭარის მეთაურმა ლევან ვარშალომიძემ იმგზავრეს, რითაც ხაზი გაუსვეს ასლან აბაშიძის ნამოქმედარის უკანონობას.

რაც შეეხება თვით მატარებელს, იგი ფრიად მოხერხებულია აჭარა-გურიის მოსახლეობისათვის, განსაკუთრებით წვრილი ბიზნესით დაკავებული მოვაჭრეებისათვის, სტუდენტებისთვის, დამსვენებლებისთვის. მგზავრობის ფასიც ფრიად მისაღები იყო - საქართველოს პრეზიდენტის უშუალო მითითებით, ტარიფი რეალური 1,90 ლარიდან სიმბოლურ 90 თეთრამდე ჩამოქვეითდა.

ოზურგეთის რკინიგზის სადგურის ხელმძღვანელების ინფორმაციით, მიმდინარე წლის 1 ივნისიდან ძალაში შედის მატარებლის მოძრაობის ახალი გრაფიკი, რომელსაც საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტი ამტკიცებს. ახალ გრაფიკში ოზურგეთი-ბათუმის რეისი აღარ ფიგურირებს. როგორც ჩანს, რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელებს მიაჩნიათ, რომ გურიის მოსახლეობა ასეთ ფუფუნებას არ საჭიროებს. ეს რომ ასე არის, იქედანაც ჩანს, რომ რამდენიმე დღის წინ თბილისი-ოზურგეთის ჩქარი მატარებლის შედარებით კომფორტული ვაგონები ძველებური ღია პლაცკარტით შეცვალეს. შეიძლება დეპარტამენტისთვის ბათუმი-ოზურგეთის მატარებელი წამგებიანი იყოს დაბალი ღირებულების გამო (ბათუმის საღოკომოტივო დეპოში წლიურად აქედან სულ 4500 ლარი შედის), მაგრამ მოსახლეობას მიაჩნია, რომ მარშრუტის მოხსნას ჩვენი რეალობისთვის ნიშანდობლივი და თანამდევი აქტი - ფასის გაზრდა აჯობებდა. არსებობს სხვა ვერსიებიც: დეპარტამენტი საზაფხულოდ ვაგონების შავიზღვისპირა კურორტებისკენ გადასროლას ანიჭებს პრიორიტეტს; ასევე არ გამორიცხავენ უწესო კონკურენციას - ზემოაღნიშნული მატარებლის ფუნქციონირებამ სერიოზული დაბრკოლებები შეუქმნა სამარშრუტო ავტობუსებს. ვარაუდობენ, რომ მატარებლის რეისის გაუქმებას შედეგად ავტობუსით მგზავრობის ღირებულების საფასური 3-დან 5 ლარამდე გაიზრდება.

რატომ ძვირდება წამლები?

ჰირველი გვერდიდან

რაც შეეხება კანონს, ეს სფერო 1992 წლიდან სრულიად თავისუფალია.

გიორგი წერეთელი მიიჩნევს, რომ წამლის თავისუფალი ბაზარი „სწორი ფორმაა“. **„შეიძლება ყველა წამალის რეგულირება? ასეთი რამ მსოფლიოში არ არსებობს,“** - აცხადებს იგი.

საქართველოში თხუთმეტამდე წამლის დისტრიბუტორი კომპანიაა. ბაზარზე სამი მათგანი - „ავერსი“, „PSP“ და „GPS“ ლიდერობს.

„PSP ჯგუფის“ დამფუძნებელი, პარლამენტის და სოციალური უზრუნველყოფის კომიტეტის წევრი კახა ოქრიაშვილი გასულ კვირას ევროს 8 პროცენტიან გაძვირებას გვახსენებს და ამბობს, რომ წამლების ფასის ზრდა საერთაშორისო კონიუნქტურიდან გამომდინარეობს. **„ამის მიუხედავად, ფასის ტოტალური ზრდა არ მომხდარა. ზოგიერთ მედიკამენტის ფასი შესაძლოა, მომწოდებელმა გაზარდა. თუ შეადარებთ მედიკამენტების ფასებს საქართველოსა და რუსეთში, ნახავთ, რომ ჩვენთან წამლები 20-30 პროცენტით იაფი ღირს.“**

კახა ოქრიაშვილის განცხადებით, საქართველოს წამლის პატარა ბაზარზე მძაფრი კონკურენციაა. „PSP ჯგუფის“ დამფუძნებელი პარალელს ამერიკასთან ავლებს და აცხადებს, რომ **„ამერიკის 200 მილიარდ დოლარიან ბაზარზეც საქართველოს მსგავსად 3 ფირმა ლიდერობს. ანალოგიური მდგომარეობაა ევროპის ბაზარზეც. ამდენად, 90 მილიონ დოლარად „შეფასებულ“ ქართულ ბაზარზე 3 ლიდერი სავსებით საკმარისია“.**

„რაც შეეხება კანონმდებლობას, იმ ქვეყნებში, სადაც დომინანტი სახელმწიფო შესყიდვებია, ანუ სადაც ფარმაცევტული ბაზარი კარგადაა განვითარებული და კარგად მუშაობს სახელმწიფო სამედიცინო დაზღვევა, წამლის ფასწარმოქმნაში სახელმწიფოს ჩარევა შესაძლებელია პირდაპირი რეგულირებით. თუმცა, მსოფლიოში შემდეგი ტენდენციაა: რაც უფრო მეტია სახელმწიფოს მხრიდან სამედიცინო პროგრამების დაფინანსება, სადაც თავისთავად მედიკამენტების შეძენაც იგულისხმება, წამლების ყველაზე დაბალ ფასად შეძენა ტენდერის ჩატარების მეშვეობითაა შესაძლებელი. ესაა, ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი, როგორც მოსახლეობის, ისე სახელმწიფო ბიუჯეტისთვის, რადგან ტენდერის ჩატარების შედეგად, სახელმწიფოს ეძლევა მედიკამენტების ყველაზე დაბალ ფასად შეძენის საშუალება,“ - გვითხრა მან.

ვიდრე მსოფლიო ტენდენციას დავეწევით, ქვეყანაში სამედიცინო დაზღვევა საფუძვლიანად ამუშავდება და, შესაბამისად, წამლების ფასის რეგულირება მოხდება, პარლამენტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტში გუშინ ეკონომიკის სამინისტროს „ავტორობით“ შექმნილი დოკუმენტი განიხილეს. დოკუმენტი საბაჟო გადასახადების შემცირებას ითვალისწინებს, რომლის ამოქმედებაც ქვეყანაში მედიკამენტების ფასებზე პირდაპირპროპორციულად აისახება. **„დოკუმენტი 16-დან საბაჟო გადასახადის სამამდე შემცირებას ითვალისწინებს. ვიმსჯელეთ კონკრეტულ მუხლებზე, ფარმაცევტულ პროდუქციაზე, ანტიბიოტიკებსა და ე.წ. ჟელატინის კაპსულებზე, რომელსაც მოიხმარს ფარმაცევტული მრეწველობა. ამ კუთხით დოკუმენტში რატომღაც წინა კანონზე მაღალი ტარიფებია. ეს საკითხი აუცილებლად გაირკვევა, რადგან ადგილობრივ განვითარებად ფარმაცევტულ მრეწველობას ხელი უნდა შევუწყოთ. ამასთანავე, მოსახლეობას არ უნდა გაუძვირდეს პრეპარატები,“** - გვაითხრა ჯანდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა გიგი წერეთელმა.

ხარვეზების მიუხედავად, პარლამენტარების მიერ მოწონებული დოკუმენტის ამოქმედების შემთხვევაში, ქვეყანაში სავარაუდოდ იმპორტული საქონლის ფასი აღარ გაიზრდება. პირიქით, შესაძლოა, შემცირდეს კიდეც. ყოველ შემთხვევაში, ასე გვპირდება მთავრობა.

ბადრი ჭანტურია, ფოტო

ქვეყანაში წამლის ფასის რეგულირებას არც ერთი სახელმწიფო უწყება არ ახორციელებს.

ფული ეკომიგრანტებისთვის

საჭირო თანხებს აჭარის ბიუჯეტში ეძებენ

გასულ წელს საქართველოს მთავრობამ აჭარის მაღალმთიანი რაიონებიდან წალკაში ათასზე მეტი ეკომიგრანტი ჩაასახლა. ხელისუფლება მათ სახლების შეძენისა და თითოეულ ოჯახზე საყოფაცხოვრებო პირობების მოსაწესრიგებლად 5 ათას ლარს ჰპირდებოდა. ეს პირობა არ შესრულდა. ეკომიგრანტთა უმრავლესობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული გახდა უკან დაბრუნებულიყო.

ემზარ დიასამიძე
ბათუმიდან

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, გიორგი ხევიაშვილმა განაცხადა, რომ წელს აჭარიდან 500-მდე ეკომიგრანტის განსახლება მოხდება. აჭარის მთავრობაში აცხადებენ, რომ ეკომიგრანტთა პრობლემა, ანუ მათი დაფინანსება, მხოლოდ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა. აჭარის უმაღლესი საბჭო კი ახალი ინიციატივით გამოდის და ეკომიგრანტთა პრობლემის გადაწყვეტად თანხების გამოყოფას აჭარის ბიუჯეტიდან მოითხოვს.

მაღალმთიან აჭარაში ეკომიგრანტთა პრობლემა პიკს აღწევს. აჭარის მთავრობაში სტიქიურად დაზარალებულთა ნუსხა 5 ათასს აჭარბებს. აქედან ათასზე მეტი საცხოვრებელი ადგილიდან სასწრაფო გადასახლებას ექვემდებარება. აჭარელ ეკომიგრანტებს ჩასახლებას ძირითადად წალკის რაიონში სთავაზობენ. შარშან საქართველოს მთავრობა აჭარელ ეკომიგრანტებს ოჯახზე 5 ათასი ლარის გამოყოფას შეჰპირდა, მაგრამ დაპირება ყოფილ მინისტრის, ეთერ ასტემიროვას გადადგომას გაჰყვა.

ამ საკითხს აჭარის უმაღლესი საბჭოს რამდენიმე კომიტეტმა ერთობლივი სხდომა მიუძღვნა. სხდომაზე მთავრობის წარმომადგენლებიც ჰყავდათ მიწვეული.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან“, ბეჟან გობაძე მიიჩნევს, რომ მაღალმთიანი აჭარა ჭარბი მოსახლეობისაგან უნდა განიტვირთოს: **„ხულოს რაიონში 40 ათას კაცზე მეტი ცხოვრობს. კანონით იქ 15 ათასზე მეტი არ უნდა ცხოვრობდეს. ჭარბი მოსახლეობის გამო არ არის მიწის საკმარისი რესურსი. ტყეები კი ფაქტობრივად უკვე გაჩეხილია. თუ მოსახლეობა არ განიტვირთა, აქ არა რაიმე პრობლემის მოგვარებაზე იქნება საუბარი ზედმეტი, არამედ გარდაუვალი ეკოლოგიური კატასტროფა არ აგვცდება“.**

აჭარის ჯანდაცვის მინისტრის მოადგილის, ალეკო შველიძის ინფორმაციით, ეკომიგრანტთა განსახლების პრობლემა მალე მოგვარდება: **„ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა, გიორგი ხევიაშვილმა ბათუმში ყოფნისას განგვიცხადა, რომ წელს 500 ეკომიგრანტის განსახლება მოხდება. უახლოეს 3-4 წელიწადში კი ეს პრობლემა აჭარაში მთლიანად გადაწყდება“.**

შველიძის განცხადება დეპუტატებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს და შარშანდელი მაგალითი გაიხსენეს. ოპოზიციის წარმომადგენლის, რესპუბლიკელი მურმან დუმბაძის განცხადებით, არა თუ მინისტრის განცხადება, არამედ მთავრობის დადგენილებაც ამ შემთხვევაში ფარატინა ქაღალდია. მისი თქმით, **„საჭიროა, ამ საკითხზე მომზადდეს საკანონმდებლო აქტი. ეკომიგრანტთა პრობლემის გადასაწყვეტად ბიუჯეტიდან გამოყოფილი უნდა იქნეს სახსრები. ხევიაშვილი რომ გვპირდება, ამდენს გადავასახლებთო, იცის, დღეს რა დაჯდება ამ ხალხის იქ ჩასახლება? კონკრეტული თანხა არ სახელდება. პრობლემის მოსავგარებლად რაღაც პროცენტი წლიური ბიუჯეტის შედგენის დროს უნდა იქნეს განსაზღვრული“**. დუმბაძის აზრით, აჭარელ ეკომიგრანტთა პრობლემების გადასაწყვეტად თანხები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან უნდა გამოიყოს. მისი თქმით, ამის შესძლებლობა რეგიონში არსებობს, მაგრამ იგი არ არის გამოყენებული: **„2004 წელს ლევან ვარშალომიძეს სარეზერვო ფონდში ორმილიონნახევარი ჰქონდა, შარშან 2 და წელს 1 მილიონი აქვს. ეს თანხები უნდა გაიზარდოს და დანიშნულებისამებრ იქნეს მოხმარებული. ვარშალომიძე კი ამ თანხებს პრეზიდენტების სტუმრობების დროს ხარჯავს“**.

ოპოზიციის გამოსვლას უმრავლესობის წარმომადგენლებიც დაეთანხმნენ. აგრარულ და თვითმმართველობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ზურაბ მიქელაძემ განაცხადა, რომ თუ ამ საკითხზე კონცეფცია არ შეიქმნება, არაფერი გამოვა. **„ახლა ახალი მინისტრია და გვპირდება, საქმეს გავაკეთებო. ხვალ შეიძლება სხვა მოვიდეს თანამდებობაზე. ასე შეიძლება მუდამ ახალი მინისტრი გვყავდეს. გლეხისთვის მინისტრი ახალია თუ ძველი, სულ ერთია. შარშან ათასამდე ოჯახი ჩავიყვანეთ წალკაში და თითქმის ღია ცის ქვეშ დავყარეთ. ფინანსურ უზრუნველყოფას დავპირდით და მოვატყუეთ. ზოგი გამოიქცა, ვინც დარჩა, იძულებული გახდა ადგილობრივების მოსამსახურედ იქცეს, მათი მიწები ამუშაოს და თავი ისე ირჩინოს,“** - განაცხადა ზურაბ მიქელაძემ.

აჭარის უმაღლესი საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მთავრობასთან გამართონ კონსულტაცია. თუ კი ეკომიგრანტებისათვის აჭარის ბიუჯეტიდან გამოიყოფა თანხები, მაშინ პრობლემის გადაწყვეტა უფრო ქმედითი იქნება. **„ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდება ამ ხალხის საკითხი. ახლა იმის დადგენა ვეღარ ხერხდება, ვინ მიიღო დახმარება, ვინ არა,“** - განაცხადა ზურაბ მიქელაძემ.

ქართული ღვინო კვლავაც იყიდება კრემლში

ქართული ღვინის აკრძალვამ რუსეთში მოულოდნელი შედეგები გამოიღო. ამის შესახებ აცხადებს რუსული ტელეკომპანია „რენ ტივი“. რუსული ტელეარხის თანახმად, კრემლში არ ეშინიათ პესტიციდების. რუსეთის პრეზიდენტის სამეურნეო სამმართველოს პრესმდივანი ვიქტორ ხრეკოვი აღიარებს, რომ ქართული ღვინო კვლავაც იყიდება კრემლის ყველა ბუფეტში. „როსპოტრებნადზორის“ აკრძალვის მიუხედავად, რომელმაც ასობით ლიტრი ღვინო გაანადგურა, კრემლმა გადაწყვიტა არ მიმართოს მკვეთრ ზომებს და გაასაღოს დარჩენილი ღვინო.

„ჩვენ დიდი ხნის წინ შევიძინეთ ღვინის დიდი პარტია მომწოდებლებისგან, რომლებზეც შემდეგშიც არ გვსმენია რაიმე საჩივარი. პრეზიდენტის სამეურნეო სამმართველოს საწყობებიდან გაყიდვაში გაცემულ ღვინოს ყველანაირი შემოწმება აქვს გავლილი - სანიტარული, სასოფლო სამეურნეო და ა.შ.. ზოგიერთი საწყობიდან დღემდე იყიდება ღვინო“.

24 საათი

შეტაკებები ავღანეთში

სამხრეთი ავღანეთის ტელმანის პროვინციაში, თალიბანის შეიარაღებული შენაერთების მიერ განხორციელებული იერიშის შედეგად 50-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ადგილობრივი ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ცნობით, დაღუპულთა შორის 13 პოლიციელი და 40-მდე თალიბანის მებრძოლია. შეტაკება მოხდა მეზობელ ყანდაარის პროვინციაშიც. იქ დაიღუპნენ კანადელი ჯარისკაცი და 18 თალიბანელი.

გუშინვე ავღანეთის ორ სხვადასხვა ქალაქში აფეთქებები მოაწყვეს თვითმკვლელმა მოიერიშეებმა. ამ აფეთქებებს ერთი ამერიკელი ექსპერტი და ერთი ავღანელი სამოქალაქო პირი შეეწირნენ.

რადიო თავისუფლება

მოკლედ

ახალქალაქის ბაზის გაყვანა გრძელდება

ახალქალაქის სამხედრო ბაზიდან შეიარაღების გატანის პროცესი გრძელდება. ბაზის ტერიტორია გუშინ საბრძოლო იარაღით დატვირთულმა ათმა სატვირთო ავტომანქანამ დატოვა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ თავდაცვის სამინისტროში განუცხადეს, ისინი სომხეთში, ქალაქ გიუმრიში მდებარე რუსეთის ფედერაციის 112-ე სამხედრო ბაზაზე განლაგდებიან. ხვალ კი ახალქალაქიდან წალკის მიმართულებით შვიდი თვითმავალი საარტილერიო დანადგარი დაიძვრება.

ტექნიკის გაყვანის პროცესს ახალქალაქის სამხედრო პოლიცია აკონტროლებს. ქართული მხრიდან ადგილზე იმყოფება ბაზების გასვლის კომისიის ხელმძღვანელი, პოლკოვნიკი ალექსანდრე კიკნაძე. რუსულ მხარეს რუსეთის სახმელეთო ძალების სარდლის მოადგილე ევგენი ევნევიჩი, გენერალ-ლეიტენანტი ანდრეი ბესპალოვი, გენერალ-მაიორი ანდრეი პოპოვი და გენერალ-მაიორი იგორ აჩალოვი წარმოადგენს.

ახალქალაქის სამხედრო ბაზის საქართველოდან გაყვანის პროცესი 2007 წლის ბოლოს დასრულდება. **ინტერპრესნიუსი**

აფხაზეთს აშშ-ის საელჩოს დელეგაცია ესტუმრება

საქართველოში აშშ-ის საელჩოს დელეგაცია აფხაზეთს 20 მაისს ესტუმრება. დელეგაციას ელჩი ჯონ ტეფტი უხელმძღვანელებს. მასთან ერთად აფხაზეთს ელჩის მეუღლე მარიელა ტეფტი და საელჩოს მრჩეველი პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებში ბრიჯიტ ბრინკი ეწვევიან.

აფხაზეთის დე ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში ამერიკელი დიპლომატები თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტ სერგეი ბაგაფშს, პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბს, საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას შეხვდებიან.

20-21 მაისს ამერიკელი დიპლომატები აფხაზეთის ღირსშესანიშნაობებს - რიწის ტბას, გაგრას, ბიჭვინთასა და ახალ ათონს დაათვალიერებენ. **ინტერპრესნიუსი**

სერგეი ლავროვი ევროპარლამენტში შეხვედრებს მართავს

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა ბრიუსელში მოლაპარაკება გამართა ევროპარლამენტის საერთაშორისო საკითხთა კომიტეტის წევრებთან. შეხვედრის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლავროვმა განაცხადა: „ვფიქრობთ, შევძლებთ, წვლილი შევიტანოთ არა მარტო ევროპის საბჭოს დღის წესრიგისთვის ტრადიციული საკითხების განხილვასა და განვითარებაში, არამედ თანამშრომლობის გაფართოებაშიც ახალი მიმართულებებით. უწინარესად ეს ეხება უფრო ეფექტიანი საპასუხო ზომების ძიებას ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების საფრთხეებზე.“

ევროკავშირის წარმომადგენელმა, რომელმაც რადიო „თავისუფლებას“ სთხოვა, მისი ვინაობა არ გავამხილოთ, გვაცნობა, რომ შეხვედრის მსვლელობაში ლავროვმა უარყო ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში რუსეთის მისამართით გამოთქმული კრიტიკა. გარდა ამისა, ლავროვმა დაიცვა მოსკოვის პოლიტიკა მოლდავეთისა და ბელარუსის მიმართ. **რადიო თავისუფლება**

კოფი ანანი ირანის ბირთვულ პროგრამაზე მწვავე განცხადებების წინააღმდეგია

გაერო-ს გენერალურმა მდივანმა კოფი ანანმა გამოთქვა მოსაზრება, წერტილი დაესვას მწვავე განცხადებებს ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო და იმედი გამოხატა, რომ უშიშროების საბჭო კრიზისის მოგვარებას შეძლებს.

„ ირანმა ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს საშუალება უნდა მისცეს, გაიქარწყლოს ყველა ის ეჭვი, რომელიც ნისლში ხვევს მის ბირთვულ პროგრამას. უნდა გავაორმაგოთ დიპლომატიური ძალისხმევა და დავარწმუნოთ ირანელები, რომ ეს მათსავე ინტერესებს უპასუხებს. გარდა ამისა, აუცილებელია, შემცირდეს პოლემიკის დაძაბულობის ხარისხი და ყველამ თავი უნდა შეიკავოს ისეთი მოქმედებისგან თუ განცხადებებისგან, რომლებიც ვითარებას კიდევ უფრო გაამწვავებდა,“ - ამბობს ანანი.

დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია განიხილავენ შესაძლებლობას, ირანს მსუბუქ წყალზე მომუშავე რეაქტორი შესთავაზონ - თუ ირანი უარს იტყვის გამდიდრებული ურანის წარმოებაზე. თეირანმა განაცხადა, რომ თავისი ბირთვული პროგრამის გაყინვას არც ერთ შემთხვევაში არ აპირებს. **24 საათი**

24 საათი: მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

„ივანოვის კედელი"

რუსეთსა და საქართველოს შორის

ჰირველი გვერდიდან

„საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთს ნამდვილად საფრთხე არ ემუქრება და ამიტომაც მსგავსი განცხადებები, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარია. თუ რუსეთი სპეციალურად შეეცდება რაღაც საფრთხის შექმნას, მაშინ ეს უკვე სხვა საკითხია. საქართველო საკუთარ საზღვარს სრულად აკონტროლებს და რუსეთი როგორ დაიცავს თავისი მხრიდან სასაზღვრო მონაკვეთს, ეს უკვე სხვა ამბავია," - ამბობს თარგამაძე.

რუსეთის თავდაცვის მინისტრის განცხადებას გამოეხმაურა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც. „საქართველო ამ საკითხებში რუსეთთან თანამშრომლობისათვის მზადაა", - აცხადებს საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება და იქვე დასძენს, რომ პირველი რიგის ამოცანაა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვრის აფხაზეთისა და ოსეთის უკონტროლო მონაკვეთების დაცვის გაძლიერება და ერთობლივი რეჟიმის დაწესება. **„სწორედ ამ მონაკვეთებზე მოძრაობს იარაღი და საბრძოლო ტექნიკა და შეიარაღებული პირები, რაც კონფლიქტური რეგიონების მილიტარიზაციას იწვევს,"** - ნათქვამია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

რუსეთის სასაზღვრო ძალების სამხედროებით გაძლიერებას, ქართული მხარის პოზიციით, წინ უნდა უსწრებდეს საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის დელიმიტაცია-დემარკაციის პროცესის დასრულება. რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლების გახშირებულ განცხადებებს, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაცვის აუცილებლობის შესახებ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიიჩნევს, რომ ეს ფაქტი ნათელს ხდის რუსეთის პოლიტიკას, რომლის შედეგად ის კონფლიქტის მონაწილე ერთ-ერთ მხარედ ყალიბდება.

24 საათი

ესპანეთი ევროკავშირს დახმარებას სთხოვს

არალეგალურ იმიგრანტთა პრობლემამ ოფიციალური მადრიდი შეაწუხა

არალეგალურ იმიგრანტთა დიდძალმა ნაკადმა ესპანეთის ხელისუფლებასაც შეუქმნა პრობლემები.

არალეგალურ იმიგრანტთა დიდძალმა ნაკადმა ესპანეთის ხელისუფლებასაც შეუქმნა პრობლემები, რის გამოც ევროკავშირს მიმართეს დახმარებისთვის. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მარტო ბოლო კვირის განმავლობაში დასავლეთ აფრიკიდან კანარის კუნძულებზე გადმოსულ არალეგალ იმიგრანტთა რიცხვმა 1 500 კაცს გადააჭარბა. არალეგალთა მზარდი ნაკადის გამო ოფიციალურმა მადრიდმა უკვე გააძლიერა სახელმწიფო საზღვრების პატრულირება, როგორც საჰაერო, ასევე საზღვაო ძალებში. თუმცა, ქვეყანაში იმიგრანტთა შემოსვლის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები მხოლოდ ამით არ ამოწურულა, ესპანეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა მოლაპარაკებებიც დაიწყეს აფრიკულ სახელმწიფოებთან, რათა მათ, თავის მხრივ, გააკონტროლონ ეს პროცესი.

აფრიკელები საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად ჩვეულებრივი სათევზაო ნავით ზღვის გადაცურვის საშიშ გზას არ ერიდებიან უკეთესი მომავლის მოლოდინში. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლის ჟან-ფილიპ შოზის თქმით, ესპანეთი სხვა მსგავსი ქვეყნების დარად არალეგალი იმიგრანტებისთვის იმიტომაა მიმზიდველი, რომ იქ ადვილია ოფიციალური პროცედურების გვერდის ავლით სამუშაოს შოვნა.

„როგორც წესი, ასეთი ტიპის სამუშაოს შოვნა მხოლოდ არაფორმალურ სექტორში ხდება... ასე, რომ ჩვენ რეკომენდაციას ვუწევთ იმ ქვეყნებს, რომლებსაც არალეგალური იმიგრაციის პრობლემა აწუხებს, პირველ რიგში, უკანონო დასაქმების საკითხებზე იზრუნონ", - აღნიშნავს ჟან-ფილიპ შოზი.

ევროპაში ცხოვრების უკეთესი პირობების მოპოვების იმედით, მიგრანტებს ხშირად რამდენიმე ათასი აშშ დოლარის გადახდაც უწევთ ნავების მავრიტანელი მფლობელებისთვის, რომელთათვისაც ეს ბიზნესი თევზაობაზე გაცილებით შემოსავლიან საქმედ იქცა - მავრიტანიიდან კანარის კუნძულებამდე სულ 900 კმ-ია. არალეგალი მგზავრებით გადატვირთული ნავების მოგზაურობა დაახლოებით 10 დღე გრძელდება ხოლმე, თანაც 100-პროცენტიანი წარმატების გარანტიის გარეშე, რადგან გზაში ხშირია მიგრანტთა გარდაცვალების შემთხვევებიც.

როგორც კანარის კუნძულების მცხოვრებნი ჰყვებიან, არალეგალი მიგრანტები ყოველთვის ზრდასრული ადამიანები არ არიან, ყოფილა შემთხვევები, როდესაც ნავებით მშობლებს თვეების ასაკის ბავშვი გადმოუყვანიათ.

„მახსოვს, ერთხელ მავრიტანიიდან 13 წლის ბიჭუნა ჩამოვიდა, რომელიც შიშისგან ვეღარ მეტყველებდა", - ამბობს ერთ-ერთი ადგილობრივი მცხოვრები.

როგორც მადრიდში ამბობენ, არალეგალურ იმიგრანტთა პრობლემა მხოლოდ ესპანეთს არ აწუხებს, ეს უფრო საერთოევროპული თავსატეხია, ამიტომ საჭიროა ერთობლივი ღონისძიებები, რათა ეს საკითხი მაქსიმალურად ეფექტურად გადაიჭრას. პრობლემის ეფექტური გადაჭრის მეთოდებში კი ესპანეთის ხელისუფლება საზღვრის მკაცრად გაკონტროლების პარალელურად უკვე ქვეყანაში მყოფ არალეგალთა რეპატრიაციასაც გულისხმობს. ტენერიფეს გამანაწილებელ ცენტრებში კი უკვე დიდი ხანია, რაც თავშესაფრის ადგილების დეფიციტია.

„არალეგალურ იმიგრანტთა ნაკადის შეჩერება არა მარტო ესპანეთის, არამედ მთელი ევროპის ინტერესებში შედის, რადგან იმიგრანტები კანარის კუნძულებზე არ დარჩებიან და უფრო შორსაც წავლენ, თუნდაც მადრიდში, ლონდონში თუ პარიზში," - აღნიშნავს ტენერიფეს ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოს წარმომადგენელი მიგელ ბერსერა.

ესპანეთის მოთხოვნაზე საპასუხოდ, ევროპარლამენტი მიმდინარე წლის ივისში კანარის კუნძულებზე დელეგაციის გაგზავნას აპირებს, რომელიც ადგილზე ნახავს და შეაფასებს იქ არსებულ ვითარებას. ისინი შეისწავლიან იმიგრანტთა ცხოვრების პირობებს და იმუშავებენ არალეგალური იმიგრაციის აღკვეთის გზებზე.

24 საათი

სუამი

დსთ-ს შემცვლელი თუ ოპონენტი?

ჰირველი გვერდიდან

წესდებაში ჩაიწერება, რომ აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა ყველა წევრ-ქვეყანას მორიგეობით დაეკისრება. 2006 წელს სუამს უკრაინა უხელმძღვანელებს.

წესდების თანახმად, ყველა გადაწყვეტილებას ორგანიზაციის წევრი-ქვეყნები კონსესუსის შედეგად მიიღებენ. სუამის შტაბ-ბინა კიევში განლაგდება.

როგორც უკრაინის საგარეო უწყებაში აცხადებენ, სამიტის ფარგლებში სუამი აპირებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 2002 წელს ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მიერ ხელმოწერილი შეთანხმება გააქტიუროს.

კიევში დაგეგმილი ორდღიანი სამიტის ანონსირებისას, უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრეი ვესელოვსკიმ აღნიშნა, რომ პრეზიდენტების შეხვედრის პარალელურად საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო გაიმართება. ასევე ერთმანეთს შეხვდებიან სუამის წევრი ქვეყნების ეკონომიკის, ენერგეტიკის, ტრანსპორტის მინისტრები; ასევე საბაჟო, სასაზღვრო, სამართალდამცავი უწყებების ხემძღვანელები; სავაჭრო პალატების წარმომადგენლები და ბიზნესმენები.

23 მაისს კიევში სუამის წევრი ქვეყნების პირველი პირების შეხვედრაა დაგეგმილი.

კიევის სამიტზე წევრი-ქვეყნების პრეზიდენტების გარდა პოლონეთის, ლიტვის, ბულგარეთისა და რუმინეთის პირველი პირები არიან მიწვეულნი.

სამიტში მონაწილეობას მიიღებენ ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისა და ევროკომისიის წარმომადგენელები. სამიტის ფარგლებში დაგეგმილია სუამი-აშშ-ის ფორმატის ორმხრივი შეხვედრაც.

რაც შეეხება რუსეთს, ამ ქვეყანას სუამის სამიტზე რუსეთის ელჩი უკრაინაში ვიქტორ ჩერნომირდინი წარმოადგენს. **„ჩვენ ვეპატიჟებით ყველას, ვისაც აინტერესებს ეს ორგანიზაცია. მათ რიცხვში რუსეთი არ არის. რუსეთი არასოდეს ამყლავნებდა ინტერესს სუამის მიმართ და დამკვირვებლის სტატუსიც არ უთხოვია, თუმცა ჩვენ მოხარული ვიქნებოდით,"** - აღნიშნავს ვესელოვსკი.

როგორც უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი ბორის ტარასიუკი აცხადებს, არ არის გამორიცხული, სუამის წევრი ქვეყნების კვარტეტს მომავალში რეგიონის სხვა ქვეყნებიც შეუერთდნენ. **„ჩვენ ამაზე უკვე ვმუშაობთ,"** - აცხადებს ტარასიუკი. მისი თქმით, შესაძლო კანდიდატებს შორისაა პოლონეთი, რუმინეთი და ლიტვა.

საქართველოსა და უკრაინის პრეზიდენტებმა, მაისის დასაწყისში ვილნიუსში გამართული სამიტის დროს ორმხრივ შეხვედრაზე, სხვა ერთობლივ მიზნებთან ერთად, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გამოსვლის შესაძლებლობაც განიხილეს. აღნიშნული დიალოგის შემდეგ ბევრი ელის, რომ კიევში სუამის სამიტზე უკრაინა და საქართველო დსთ-დან გასვლის შესახებ ერთობლივ განცხადებას გააკეთებენ.

თუ უკრაინის პრეზიდენტის გუშინ გაკეთებულ განცხადებას გავითვალისწინებთ, სავარაუდოდ, მოვლენები მსგავსი სცენარით არ განვითარდება.

„როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ დსთ-ზე, ვგულისხმობთ იმ საერთო ინტერესებსაც, რაც ამ ორგანიზაციაში გაერთიანებულ წევრ-ქვეყნებს აერთიანებთ და ამ ინტერესებს კოორდინაცია სჭირდება. სუამი არ იქმნება იმიტომ, რომ დსთ ცუდად მუშაობს. სუამი არ აპირებს დსთ-ს ჩანაცვლებას. ის რეგიონული ორგანიზაციაა, რომელსაც უფრო ლოკალური და კონკრეტული მიზნები აქვს. ეს საერთაშორისო ორგანიზაცია (სუამი) არ ისახავს ისეთ ყოვლისმომცველ და მასშტაბურ ამოცანებს, როგორსაც დსთ," - აღნიშნა უკრაინის პრეზიდენტმა რუსულ საინფორმაციო სააგენტო „ინტერფაქსისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

რუსი ექსპერტების აზრით, სუამის გეოპოლიტიკური ამოცანა აშშ-ის დიპლომატიური უწყების წიაღში ჩამოყალიბდა და რუსეთსა და ევროპას შორის „სანიტარული კორდონის" შექმნას ითვალისწინებს. რუსი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საქართველოსა და უკრაინის დსთ-დან გასვლის შემთხვევაში რუსეთმა ამ ქვეყნების წინააღმდეგ მკაცრი ეკონომიკური და პოლიტიკური სანქციები უნდა აამოქმედოს.

„საქართველოსთან ჩვენ უკვე შემოვიღეთ სავიზო რეჟიმი. ასევე მოიქცევიან დსთ-ს სხვა წევრებიც. ჩვენ ასევე გადავხედავთ უკრაინასთან უვიზო მიმოსვლის საკითხსაც. არ ვალიარებთ საქართველოსა და უკრაინაში გაცემულ უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომებს, რაც გამოიწვევს იმას, რომ ათასობით ქართველი და უკრაინელი სპეციალისტი, რომელიც რუსეთში მოღვაწეობს, უსამსახუროდ დარჩება," - აცხადებს დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის დირექტორი კონსტანტინ ზატულინი. იგი დასძენს, რომ რუსეთი საქართველოსთან და უკრაინასთან დსთ-ს ფარგლებში გაფორმებულ ყველა ეკონომიკურ შეთანხმებასა და დსთ-ს წევრობით გათვალისწინებულ ყველა ეკონომიკურ შეღავათს გააუქმებს.

„რუსეთმა არ უნდა დაუშვას ამ ქვეყნების დსთ-დან გასვლა, რადგან ასეთ შემთხვევაში ნატო საბოლოოდ განდევნის მოსკოვს ამ ქვეყნებიდან. ყირიმში შავი ზღვის ფლოტს იგივე ბედი ეწევა, რაც საქართველოში განლაგებულ რუსულ ბაზებს დაემართა. ჩვენს საზღვრებთან ატლანტიკური ალიანსის ბაზები განლაგდებიან," - აცხადებს გეოპოლიტიკური პრობლემების აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ლეონიდ ივაშოვი.

კოსოვოს პრეცედენტი არ გამოდგება კავკასიაში

ჰირველი გვერდიდან

1993 წელს 300 ათასზე მეტი ეთნიკური ქართველი იძულებული გახდა, დაეტოვებინა საცხოვრებელი ადგილი. შედეგად, დღეს აფხაზეთი ეთნიკურად „გაწმენდილია". გასაკვირი არ არის, რომ ბატონმა დე ვაალმა ვერავინ აღმოაჩინა იქ (აფხაზეთში), ვინც საქართველოსთან გაერთიანების მომხრე იქნებოდა.

კოსოვოში, როგორც იქნა, ყალიბდება სამოქალაქო საზოგადოება. მუშაობს კანონის უზენაესობა და სასამართლო სისტემა. გარდა ამისა, ჩატარდა საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული არჩევნები. ვერ წარმოიდგენთ, რა განსხვავებული მდგომარეობაა საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში. მაგალითად, სამხრეთ ოსეთი სამოთხეა საერთაშორისო დანაშაულისა და კონტრაბანდისათვის. მძვინვარებს ფულის გაყალბება. ახლახანს საქართველოს ხელისუფლებამ ამოიღო გამდიდრებული ურანის დიდი პარტია, რომელიც სეპარატისტული რეგიონის გავლით გაჭქონდათ.

აფხაზეთში ქართველების იმ მცირე რიცხვს, ვინც დაბრუნდა, არ აქვს უფლება ისწავლოს ან ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე; არ არსებობს რაიმე სახის ადამიანის უფლებების პატივისცემა; რაც შეეხება დანარჩენ დევნილებს - საერთოდ არ აქვთ შესაძლებლობა დაუბრუნდნენ საკუთარ სახლს. ეს ის ფაქტებია, რომელთაც ბატონი დე ვაალი მუდმივად უგულებელყოფს აფხაზეთის „დემოკრატიულად არჩეულ" ხელისუფლებაზე საუბრისას.

მაშინ, როცა არ არსებობს „ერთგვაროვანი" მიდგომა ეთნიკურ კონფლიქტებთან დაკავშირებული რთული საკითხების დარეგულირებისას, საერთაშორისო ძალისხმევა, რათა ეთნიკური წმენდის მომწყობები დაავჭილდოვონ დამოუკიდებლობით, ყველა დემოკრატიული ნორმისა და ფასეულობების წინააღმდეგაა მიმართული.

კოსოვომ გვასწავლა, რომ მშვიდობის მშენებლობა ფრიად რთული საქმეა და მრავალის წვლილს მოითხოვს.

საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა სამშვიდობო გეგმა, რომელმაც მოწონება დაიმსახურა, როგორც ეუთო-ში, ასევე ევროკავშირსა და დასავლეთ ევროპის მთავრობებში. პრეზიდენტ სააკაშვილის გეგმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის გულისხმობს ფინანსურ და ეკონომიკურ სტიმულებს, ენის უფლებების დაცვასა და კულტურული მეკვიდრეობის შენარჩუნებას, წარმომადგენლობას (ადგილს) ცენტრალურ ხელისუფლებაში და ავტონომიურობის მნიშვნელოვან ხარისხს; აქედან გამომდინარე, იგი უფრო ფართო საერთაშორისო მონაწილეობასა და მხარდაჭერას იმსახურებს.

რუსეთის ფედერაციის საბჭოს დელეგაცია აფხაზეთში

რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის დელეგაცია, ამავე კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ ოზეროვის ხელმძღვანელობით აფხაზეთში არსებულ ვითარებას გაეცნო.

ფედერაციის საბჭოს დელეგაციის წევრებმა სამშვიდობო ძალების დისლოკაციის ადგილები მოინახულეს და სამშვიდობო ძალების სარდალს გენერალ-მაიორ სერგეი ჩაბანს, დე-ფაქტო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ალექსანდრე ანქვაბს შეხვდნენ. ანქვაბმა მოსკოველ სტუმრებს კვლავ დაუდასტურა აფხაზური ხელისუფლების პოზიცია რუსეთის სამშვიდობო ძალების მიერ კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ოპერაციის გაგრძელების შესახებ.

ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარის ვიქტორ ოზეროვის განცხადებით, იგი და მისი კოლეგები სამშვიდობო ძალებს რეგიონში მშვიდობის გარანტად მიიჩნევენ. მისივე თქმით, მოსკოვში დაბრუნებისთანავე, კომიტეტის წევრები მათი აფხაზეთში ვიზიტის შედეგებს ფედერაციის საბჭოსა და რუსეთის შეიარაღებული ძალების მეთაურს მოახსენებენ.

„ის, რაც მე აფხაზეთში ვნახე, დამეხმარება აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციების შესახებ, პარიზში, ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში დაგეგმილ დისკუსიებში", - აღნიშნა ფედერაციის საბჭოს თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავმჯდომარემ ვიქტორ ოზეროვმა. **ინტერპრესნიუსი**

აშშ „დიდ მექსიკურ კედელს" აშენებს

ამერიკის შეერთებული შტატები მექსიკიდან უკანონო მიგრაციის თავიდან ასაცილებლად „დიდ მექსიკურ კედელს" ააშენებს.

სენატმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაციის მიერ შეთავაზებულ ცვლილებებს კანონში „უკანონო იმიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ".

ცვლილებები ითვალისწინებს აშშ-მექსიკის საზღვარზე 600 კილომეტრის სიგრძის დამცავი კონსტრუქციების მშენებლობას. პროექტის თანახმად, მჭიდრო კონსტრუქციები სამ რიგად აიგება იმ მონაკვეთებზე, სადაც არალეგალები ყველაზე ხშირად კვეთენ საზღვარს.

„გახსნილი საზღვრის დრო დასრულდა", - განაცხადა რესპუბლიკელმა სენატორმა ალაბამას შტატიდან ჯეფ სეშენსმა ცვლილებების მიღების შემდეგ.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო საზღვარი არალეგალებისთვის, დამნაშავეებისთვის, ნარკომოვაჭრეებისთვის და ტერორისტებისთვის დახურული უნდა იყოს. გარდა ამისა, ბუში საჭიროდ მიიჩნევს მექსიკის საზღვარზე ერთი წლის ვადით გვარდიის 6 000-მდე ჯარისკაცის გაგზავნას.

მექსიკის პარლამენტი აშშ-ის სენატის გადაწყვეტილების გამო საკუთარ მთავრობას რეაგირებისკენ მოუწოდებს. **ინტერპრესნიუსი**

მოკლედ

„ბიგ-ბენთან" მომხდარი მკვლელობა

სუპერმარკეტ „ბიგ-ბენთან" მომხდარ ინციდენტში ეჭვმიტანილ ნოშრევან ნამორაძეს ბრალი განზრახ მკვლელობის მუხლით წაუყენეს. ბრალის წარდგენა რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოხდა, სადაც ნამორაძე მკურნალობის კურსს გადის.

„ნოშრევან ნამორაძე თავად არის დაზარალებული აღნიშნული ინციდენტის გამო. თუმცა, როგორც ჩანს, დავით კურცხალიას ჰყავს საკმაოდ გავლენიანი მფარველები", - აცხადებს ბრალდებულის ადვოკატი ეკა ბესელია.

ბრალის ნაყენების შემდეგ გამოძიებამ სასამართლოს ნამორაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდების მოთხოვნით უნდა მიმართოს. თუ ნამორაძე, ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, სასამართლოს ვერ დაესწრება, სავარაუდოდ, მოსამართლე ან საავადმყოფოში ჩაატარებს პროცესს ან თბილისის საქალაქო სასამართლოში აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობის განხილვა ბრალდებულის დასწრების გარეშე მოხდება. როგორც ცნობილია, ნოშრევან ნამორაძე და დავით კურცხალია რამდენიმე დღის წინ სუპერმარკეტ „ბიგ-ბენთან" მომხდარი სროლის შედეგად რესპუბლიკურ საავადმყოფოში დაჭრილები მიიყვანეს. ინციდენტის მიზეზად ურთიერთშელაპარაკება სახელდება. როგორც გაირკვა, დაჭრილთაგან ერთ-ერთი - დავით კურცხალია წინა ხელისუფლების პერიოდში შს სტრუქტურაში მუშაობდა და მას იარაღის ტარების უფლება ჰქონდა. **ინტერპრესნიუსი**

მკვლელობა აფექტის მდგომარეობაში

მალხაზ ჯაფარიძის მკვლელობაში ეჭვმიტანილის, ძიუდოში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის, დავით მარგოშვილის უფლებების დამცველი ორგანიზაციის ინფორმაციით, ექსპერტიზამ უნდა დაადგინოს, ინციდენტის დროს ვისი იარაღიდან მოხდა გასროლა. როგორც „ადვოკატთა კოლეგიის კავშირის" წევრი გულიკო ანდღულაძე აცხადებს, ამ ეტაპზე ცნობილი არ არის, თუ ვინ მიაყენა ჯაფარიძეს სასიკვდილო ჭრილობა.

მისი თქმით, უნდა მოხდეს იარაღის სისტემისა და ნასროლის კვალის შედარება, იმისთვის, რომ გაირკვეს მოხდა თუ არა გასროლა. ნივთმტკიცებულების სახით მარგოშვილისგან ამოღებული იარაღი.

როგორც ადვოკატი ირწმუნება, ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლება დავით მარგოშვილს ჰქონდა. თუმცა, ამ ეტაპზე დაკავებულს მხოლოდ იარაღის უკანონოდ ტარებას ედავებიან.

„რაც შეეხება მომხდარის მოტივს, გადმოცემით ვიცი, რომ ნასვამმა ჯაფარიძემ დათო მარგოშვილს შეაგინა, შეურაცხყოფის მოტივით კი მათ შორის ურთიერთშელაპარაკება მოხდა, რა დროსაც დათომ, შეშინების მიზნით, უმისამართოდ გაისროლა. ამ შემთხვევაში, არავითარ განზრახვას ადგილი არ ჰქონია", - განმარტავს ანდღულაძე. მისი თქმით, ინციდენტის ღამეს დავით მარგოშვილი, სავარაუდოდ, აფექტის მდგომარეობაში იმყოფებოდა. დაპატიმრებულ დავით მარგოშვილს ამ დღეებში თბილისში გადმოიყვანენ. **ინტერპრესნიუსი**

პოლიციელის მხილებას მამხილებლის სიცოცხლე შეეწირა

კონტრაბანდის მფარველობაში ფინანსური პოლიციის წარმომადგენლის მხილებას ტრაგედია მოჰყვა. როგორც „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრში" აცხადებენ, ლაგოდეხში მცხოვრებმა ფრიდონ ბუიძემ, ადგილობრივ ჟურნალისტებს აზერბაიჯანიდან საქართველოში საბაჟო-გამშვები პუნქტის „ლაგოდეხის" გავლითა და ფინანსური პოლიციის ნებართვით შემოტანილი კონტრაბანდული საწვავის შესახებ ინფორმაცია მიანოდა.

„აზერბაიჯანიდან კონტრაბანდული საწვავის შემოტანას საბაჟოზე მდგარი ფინანსური პოლიციის წარმომადგენელი რობინზონ პაპაშვილი ლობირებს, რომელიც კახელ მაღალჩინოსანთა ნათესავია. ფინანსური პოლიცია საზღვრის გადამკვეთ მანქანას ავზში მდგარ საწვავსაც ართმევს, მას ნაქირავებ ბენზინმზიდში აგროვებს და შემდეგ მის რეალიზაციას ახდენს", - ასეთი გახლდათ ფრიდონ ბუიძის მიერ ჟურნალისტებისთვის გაცემული ინფორმაციის შინაარსი.

როგორც „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრში" აცხადებენ, ფინანსური პოლიციის წარმომადგენელმა რობინზონ პაპაშვილმა უარი გაანცხადა კომენტარზე. მოგვიანებით კი ბუიძეს ფინანსური პოლიციიდან ესტუმრნენ. არასამთავრობო ორგანიზაციის წევრთა მტკიცებით, ზეწოლის, მუქარისა და ნერვიულობის შედეგად ფრიდონ ბუიძე მოულოდნელად გარდაიცვალა.

მისი გარდაცვალება ჟურნალისტებმა ფინანსური პოლიციის თანამშრომლის რობინზონ პაპაშვილისგან შეიტყვეს.

როგორც ცენტრში აცხადებენ, ფრიდონ ბუიძესთან ფინანსური პოლიციის წარმომადგენლების ვიზიტი გასაიდუმლოებული იყო.

„ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი" ამ ფაქტთან დაკავშირებით სასწრაფო რეაგირებისკენ მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს და მომხდარის გამოძიებას მოითხოვს. **ინტერპრესნიუსი**

ომბუდსმენი მოსამართლეების წინააღმდეგ

სახალხო დამცველი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს ვალერი ცერცვაძეს იმ მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის დასმას სთხოვს, რომლებმაც, ომბუდსმენის აზრით, გადაწყვეტილებები კანონის სრული იგნორირებით გამოიტანეს.

ამგვარი გადაწყვეტილება სახალხო დამცველის აპარატმა განასჯელ მამუკა კალანდაძის ადვოკატების მიერ მიწოდებული მასალების შესწავლის შემდეგ მიიღო. **„ომბუდსმენისათვის გაგზავნილ წერილში ადვოკატები გამოძიების მიერ დაშვებულ დარღვევებზე მიუთითებენ და მათი დაცვის ქვეშ მყოფისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების გაუქმებას ითხოვენ",** - აცხადებენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები.

საქართველოს სახალხო დამცველმა შეისწავლა განსასჯელ მამუკა კალანდაძის საქმე და, მასში აღმოჩენილი სერიოზული საპროცესო დარღვევების გამო, რეკომენდაციით მიმართა გენერალური პროკურატურის გენერალური ინსპექციის უფროსს მალხაზ ღუღუნიშვილს, რათა შეესწავლათ და გამოესწორებინათ საქმეში არსებული დარღვევები. ომბუდსმენმა პასუხი გენპროკურატურიდან ერთი თვის შემდეგ მიიღო, სადაც ღუღუნიშვილი აღნიშნავდა, რომ პროკურატურა საქმეს ხელახლა ვერ განიხილავდა, ხოლო გამომძიებელ კახა ჩუბინიძის მიმართ დისციპლინარული პასუხისმგებლობის საკითხი ვერ დადგებოდა, იმის გამო, რომ იგი პროკურატურიდან დაითხოვეს.

როგორც მოკვლეული მასალებიდან ირკვევა, მამუკა კალანდაძე, რომელზეც წარსულში ძებნა იყო გამოცხადებული, სამართალდამცველებმა 2004 წლის 28 ნოემბერს დააკავეს და გურიის შს მთავარი სამმართველოს დროებითი დაკავების იზოლატორში მოათავსეს. 29 ნოემბერს დაკავებული ბათუმის N3 საპყრობილეში გადაიყვანეს, შემდეგ კი, 2004 წლის 17 დეკემბერს - თბილისის N5 საპყრობილეში. გლდანი-ნაძალადევის რაიონული პროკურატურის გამომძიებელმა კახა ჩუბინიძემ შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების დაკანონების თაობაზე სასამართლოში მხოლოდ 2004 წლის 21 დეკემბერს შეიტანა, ხოლო მართლმსაჯულებამ აღნიშნული საქმე 2004 წლის 22 დეკემბერს განიხილა. შესაბამისად, 28 ნოემბერს დაკავებულ ეჭვმიტანილს აღმკვეთი ღონისძიება მხოლოდ 22 დეკემბერს შეეფარდა.

მამუკა კალანდაძეს დაკავებამდე, 2002 წლის 7 აგვისტოს ჰქონდა შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიების სახით დაპატიმრება. მოსამართლე ბიძინაშვილმა, რომელმაც 2004 წლის 22 დეკემბერს გამომძიებლის შუამდგომლობა განიხილა, ძველი სასამართლო გადაწყვეტილება დაადასტურა და თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ საპროცესო კოდექსი არ დარღვეულა.

„აღნიშნული გადაწყვეტილებით დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 160-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, ბრალდებულისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება 48 საათში უნდა მოხდეს. ამასთან, გამომძიებელმა ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება დამცველის დაუსწრებლად გააცნო კალანდაძეს, რითაც დაირღვა საქართველოს სსსკ-ის 81-ე მუხლის I ნაწილის „დ" ქვეპუნქტის და 283-ე მუხლის II ნაწილის მოთხოვნა, დაცვის უფლება", - აცხადებენ კალანდაძის ადვოკატები.

კალანდაძის ადვოკატებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება თბილისის საოლქო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიაში გაასაჩივრეს, სადაც მოსამართლე იური გაბისონიამ საჩივარი უარყო და კალანდაძის მიმართ აღკვეთის ღონისძიება - პატიმრობა უცვლელად დატოვა.

„ამ შემთხვევაში, მოსამართლე ვალდებული იყო, გაეთვალისწინებინა დარღვეული პატიმრობის ვადა და, ამ დანაშაულის გამო, აუცილებლად დაეყენებინა დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობის საკითხი", - მიიჩნევს ომბუდსმენი.

კალანდაძის დაცვის უფლების დარღვევის ფაქტზე კი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ იმსჯელა და დაადგინა:

„მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კატეგორიის საქმეებზე სავალდებულოა დამცველის მონაწილეობა, თუმცა, კონკრეტულ შემთხვევაში, დადგენილება დამცველის დაუსწრებლად გაანცხადა კალანდაძის, რომელიც ბრალდებულისათვის გაცნობის დროს დამცველის არყოფნა ვერ ჩაითვლება არსებით დარღვევად, რამეთუ ამ დროს, ფაქტობრივად, არ შეზღუდულა ბრალდებულის კანონიერი ინტერესი".

კალანდაძის საქმეში არსებული დარღვევების გამო, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ბიძინაშვილი, საოლქო სასამართლოს საგამომძიებო კოლეგიის მოსამართლე გაბისონია, თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მოსამართლები: გიგიტაშვილი, კვატაშიძე და ნოზაძე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების გათვალისწინებით, ვალდებულნი იყვნენ, საქმეში არსებულ დარღვევებზე კერძო დადგენილება გამოეტანათ, რაც მათ, გარკვეული მიზეზების გამო, არ გააკეთეს და თავადაც გახდნენ კანონის დამრღვევნი. ამიტომ, ომბუდსმენს მიაჩნია, რომ იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დასახლებულ მოსამართლეთა საქმიანობა უნდა შეაფასოს.

24 საათი

ფართომასშტაბიანი აქციები

სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები ირწმუნებიან, რომ აქვთ ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, მკვლელობაში გარეული შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები უცხოეთში მიმალვას აპირებენ.

„მართლმსაჯულების თავიდან აცილების მიზნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები - დათა ახალაია, ვასილ სანოძე, გურამ დონაძე, ოლეგ მელნიკოვი საზღვარგარეთ მიმალვას აპირებენ; ზოგიერთს კი სასწავლებლად უშვებენ", - ეს განცხადება სანდრო გირგვლიანის დედამ ირინე ენუქიძემ არასამთავრობო ორგანიზაციის „თანასწორობის ინსტიტუტის" წევრებთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გააკეთა.

სანდრო გირგვლიანის ოჯახის წევრები უნდობლობას უცხადებენ თბილისის პროკურორს გიორგი ღვინიაშვილს და გენერალურ პროკურატურას ულტიმატუმს უყენებენ.

გარდაცვლილის ოჯახის წევრები მოითხოვენ შსს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის დათა ახალაიას, შსს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსის ვასილ სანოძის, პრესსამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის გურამ დონაძის და შს მინისტრის მეუღლის თაკო სალაყაიას საჯაროდ დაკითხვას.

„თუ ეს პირები ჩვენი ადვოკატის თანდასწრებით არ დაიკითხებიან და სიმართლე არ დადგინდება, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ერთად მასშტაბურ საპროტესტო აქციებს გავმართავთ. თუ სასამართლოს არ შეუძლია მკვლელობის შემკვეთების დასჯა, მაშინ ჩვენ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მივმართავთ, და სახელმწიფო კიდევ ერთ სამარცხვინო პროცესს წააგებს", - აცხადებს ირინე ენუქიძე.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

N	საქონლის დასახელება	შემსყიდველის დასახახელება	ხელშეკრულების ღირებულება
1			
2			

6. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) განხორციელდება 2006 წლის 7 ივნისს 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 7 ივნისის 17.00 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გმარჯვებულის გამოვლენა.

16. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მოსაწოდებელი საქონლის ხარისხისა და შესაბამისობის სერთიფიკატები.

17. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ - ლალი კეშელავასაგან და მანანა დანელიასაგან ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48.

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" (საქართველო, 4401 ფოთი, დ. აღმაშენებლის N52, ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48), **bjojua@potiseaport.com,** საინდ/კოდი 215080999, საბანკო რეკვიზიტები "თი-ბი-სი" ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა 609103, ბ/კ 220101937; ან Bankers Trust Company, New york Ny 10006, Swift BKTRU 33, FED. ABA-021001003, CHIPS UID-090400, Cor. Acc. 04414200. TBS - BANK. CHIPS UID N368655. SWIFT TBCB GE22. for TBC BANK P0ti Branch. acc N10070337. LTD Poti SEA PORT აცხადებს ღია ტენდერს რკინიგზის სათადარიგო ნაწილების შესყიდვაზე.

2. შესასყიდი საქონლის დასახელება და რაოდენობა:

1-ლოტი
- პირაპირის (სტიკების) ბოლტები გაიკით და შაიბით M27X160@-1 ტონა
- გვერდსადები (ნაკლადკა) P65 -10 ტონა
- კლეიმო ბოლტები გაიკით და შაიბით M 22X75 + კლემა - 4 ტონა
- ჩასაყოლებელი ბოლტები გაიკით და შაიბით M 22X175 - 4 ტონა
- ქვედი (პოდკლადკა) KB-65 - 30 ტონა
- რეზინის საფენი (პროკლადკა) KKB-65 ქვეშ - 3250ც;
- რეზინის საფენი (პროკლადკა) P 65 რელსის ქვეშ - 3250 ცალი
- ხის შპალი L=2,75მ - 200ც;
- ომბოხი (კასტოლი)- 4ტ;

2.1 საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ცენტრალურ საწყობში "მიმწოდებლის" ხარჯებითა და სატრანსპორტო საშუალებებით.

3. საქონლის მიწოდების სასურველი ვადაა: 2006 წლის ივნისი-ივლისი

4. დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ ქართველმა "მიმწოდებელმა" - ქართულად, ხოლო უცხოელმა "მიმწოდებელმა", თავისი ქვეყნის კანონით დადგენილი შესაბამისი უწყებებიდან მისთვის სასურველ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ნოტარიულად დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანი შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტაციული შენობის პირველი სართული, კანცელარია

4.1 წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იქნეს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას;

5.1 იურდიული პირებისათვის;

5.1.1. ცნობა სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმე;

5.1.2. ცნობა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის
ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

5.1.3 ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული.

5.2 ფიზიკური პირისათვის:

5.2.1. ცნობა სასამართლოდან, რომ ის ქმედითუნარიანია;

52.2. ცნობა საქ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრიდან, რომ იგი უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული.

5.2.3 ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე.

5.3 იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

5.3.1. მონაწილის იურიდიული სტატუსი (ასლის დართვით) რეგისტრაციის ადგილი, საბანკო რეკვიზიტები, მოღვაწეობის ძირითადი ადგილი (მიუთითეთ საკონტაქტო პირის ტელეფონი-ფაქსი)

5.3.2. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან მისი ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

5.3.3. უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება

N	საქონლის დასახელება	შემსყიდველის დასახახელება	ხელშეკრულების ღირებულება
1			
2			

6. ტენდერში მონაწილე ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. სატენდერო დოკუმენტაციის (პაკეტის) გატანისათვის პრეტენდენტმა უნდა გადაიხადოს სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით განცხადების პირველ პუნქტში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემა (სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) განხორციელდება 2006 წლის 7 ივნისს 1700 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52, შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური"-ს ადმინისტრაციული შენობის პირველ სართული. სატენდერო კომისიის აპარატი. საკონტაქტო ტელ-ფაქსი: 8(293) 7-01-48.

9. დალუქულ კონვერტებში სატენდერო წინადადებისა და საკვალიფიკაციო მონაცემების წამოდგენის ბოლო ვადაა: 2006 წლის 7 ივნისს 1700 საათამდე განცხადების მე-4 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

10. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია სატენდერო წინადადების მთლიანი ღირებულების 1%-ის ოდენობით.

11. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს სატენდერო წინადადების მოქმედების ვადას.

12. ტენდერში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია, ხელშეკრულების ფასის 5%-ის ოდენობით.

13. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების პირობების შესრულების ბოლომდე.

14. სატენდერო კომისიის მიერ მითითებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს, რომლებიც იქნებიან ჩართულნი "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების პროცესში.

15. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადებასა და საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთად უნდა წარმოადგინონ მოსაწოდებელი საქონლის ხარისხისა და შესაბამისობის სერთიფიკატები.

16. დამატებითი ინფორმაცია ტენდერის პროცედურების შესახებ დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ - ლალი კეშელავასაგან და მანანა დანელიასაგან ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-48, ტექნიკური მონაცემების შესახებ ვლადიმერ ხოხობაიასაგან შპს "ფ.ს.ნ."-ს დირექტორი წარმოებისა და ექსპლუატაციის დარგში ტელ-ფაქსი: (+995 393) 7-01-02 მობ/ტელ: 8(99) 57-01-03, ელ. ფოსტა: contact@potiseaport.com ან admin@potiseaport.com.

შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" აცხადებს ღია ტენდერს დამცავი საშუალებების შეძენაზე

№	ჩამონათვალი	რაო-ბა	სტანდარტები
1	კოსტუმი ბამბეულის ზაფხულის სახაზო ბრიგადებისთვის ზომა: 50	7	ГОСТ-27575-87
	52	13	
	54	6	
	სულ:	26	
2	კოსტუმი ცეცხლგამძლე შესრულებით ქვესადგურის მორიგე ოპერატიული პერსონალისათვის ზომა: 52	30	ГОСТ-27573-97
	54	20	
	56	18	
	სულ	68	
3	კოსტუმი ბამბეულის ზაფხულის ოსტატისათვის ზომა: 50	5	ГОСТ-27573-97
	52	19	
	54	21	
	56	15	
	60	1	
	სულ	61	
4	კომბინიზონი ბამბეულის ზამთრის ზომა: 50	5	ГОСТ-27573-97
	52	56	
	54	49	
	56	39	
	60	1	
	სულ:	150	
5	კომბინიზონი სპეცგაჟღენთვით ზომა: 52	25	ГОСТ-27573-97
	54	25	
	სულ:	50	
6.	ნახევარლაბადა დარეზინებული ზომა: 52	60	ГОСТ-12.4.134-83
	54	60	
	სულ:	120	
7.	საწვიმარი ლაბადა ზომა: 52	65	ГОСТ-12.4.134-83
	54	63	
	სულ:	128	
8.	ჩექმა კირზის ზომა: 42	35	ГОСТ-5394-89
	43	35	
	44	30	
	45	10	
	სულ:	110	
9.	ჩექმა რეზინის ზომა: 42	35	ГОСТ-5375-79
	43	35	
	44	30	
	45	10	
	სულ:	110	
10.	ფეხსაცმელი ყელიანი ტყავის (БОТИНКИ) ზომები: 42	70	ГОСТ-5394-89
	43	75	
	44	50	
	45	30	
	სულ:	225	
11.	სტანდარტული კიბე დიელექტრიკული	20	
12.	წინსაფარი რეზინის	35	ГОСТ-12.4.029-76
13.	ხელთათმანი ბამბეულის კომბინირებული	1450 წყ.	ГОСТ-12.4.01.-75
14.	ხელთამანი რეზინის არაუხეში სამუშაოებისათვის	53 წყ.	ГОСТ-20010-93
15.	აფთიაქი სამრეწველო დასაკიდი	90	
16.	აფთიაქი პირველადი დახმარების გადასატანი	20	

საქონლის მოწოდების სასურველი ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 დღე.

მოთხოვნილი საქონლის მოწოდება უნდა განხორციელდეს DDP პირობით INCOTEMRS 2000, ქ. თბილისის ტერიტორიაზე შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სასაწყობო მეურნეობამდე, მისამართი ქ. თბილისი, ქინძმარაულის ქ. N29.

დაინტერესებულმა პირებმა სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით უნდა გადაიხადონ შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" ანგარიშზე: ბანკი „რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, კოდი: 220101757, ა/ა 334030001 და მიუთითონ გადახდის მიზნობრიობა, ტენდერის ნომერი T-0406-G-0176 და წარმოადგინონ გადახდის დამადასტურებელი ქვითარი შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2, რის შემდგომაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია. სატენდერო დოკუმენტაციის მიღების საბოლოო ვადაა 2006 წლის 7 ივნისი.

დაფინანსების წყარო ---- საზოგადოების სახსრები.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 8 ივნისის 16:00 საათამდე (თბილისის დროით), ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა.

სატენდერო წინადადებების გახსნა პრეტენდენტების თანდასწრებით მოხდება 2006 წლის 8 ივნისის 16:00 საათზე (თბილისის დროით) შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი ბარათაშვილის ქ. N2. შპს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის" შენობა --- მე-4 სართული

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

იურიდიულ პირათვის;

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან,
2. ცნობა საჯარო რეესტრიდან პრეტენდენტის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ.
3. ცნობა სასამართლოდან ან/და საგადასახადო ინსპექციიდან, რეგისტრაციის ადგილის მიხედვით, რომ პრეტენდენტის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების, ან სანაციის საქმის წარმოების პროცესი, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
4. პრეტენდენტის რეკვიზიტები: (მისამართი, საიდენტიფიკაციო კოდი, ტელეფონის ან/და ფაქსის ნომერი, საბანკო რეკვიზიტები)

ფიზიკური პირებისათვის

1. პრეტენდენტის პირადი რეკვიზიტები (პირადობის მოწმობის ასლი; საკონტაქტო რეკვიზიტები,
2. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია.
3. ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება

საკვალიფიკაციო მოთხოვნების დაკმაყოფილების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით.

საქართველოში არ რეგისტრირებულმა პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინონ მათ ქვეყანაში არსებული შესაბამისი ორგანოებიდან.

ყველა სავალდებულო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დახურულ კონვერტში, შემდეგი აღნიშვნით:

პრეტენდენტის დასახელება, შპს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის სატენდერო კომისიას. ტენდერი N T 0406 G 0176

პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციის და განცხადების ტენდერის ჩატარების შესახებ მოთხოვნებს.

დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგ მისამართზე:

ტელ: +995 989816; ქ. თბილისი. ბარათაშვილის ქ. N2. შესყიდვების სამსახური.

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საირმის ნახშირმჟავა მინერალური წყლის საბადოზე
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბონებრივი რესურსების სამინისტრო
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბაღდათის რ-ნში საირმის საბადოს ნახშირმჟავა მინერალური წყალი
საბადოს საერთო მარაგები, საექსპლუატაციო წყაროები და ჭაბურღილები, წყლის ტიპი, გამოყენება.	*საბადოს საერთო მარაგები:* (A+B+C_1) კატ. შეადგენს 84.5 მ³/დღე, აქედან სამრეწველო მარაგი (A+B) კატ. 58.5 მ³/დღე. ჩამოსასხმელი (საირმის ტიპის) - სულ 37.5 მ³/დღე *წყარო N3ბ* -15 მ³/დღე, თვითდინებით, (Bკატ.) გამოყენებულია ნაწილობრივ-სასმელად საკურორტო ბიუვეტში. *წყარო N7 (ჭაბ.N56)* -14.5 მ³/დღე, თვითდინებით, (Bკატ.) *წყარო N8 (ჭაბ.N27)* - 8 მ³/დღე, თვითდინებით, (Aკატ.) კურორტისათვის - სულ 21 მ³/დღე. *წყარო N1* - საირმის ტიპი, 3 მ³/დღე, თვითდინებით, (Aკატ.) გამოყენებულია მხოლოდ სასმელად საკურორტო ბიუვეტში. *წყარო N2 (ჭაბ.N5)* - ბორჯომის ტიპი, 8 მ³/დღე, თვითდინებით, (Aკატ.) გამოყენებულია მხოლოდ სასმელად საკურორტო ბიუვეტში. *წყარო N4 (ჭაბ.N4)* - ბორჯომის ტიპი, 5 მ³/დღე, თვითდინებით, (Aკატ.) გამოყენებულია მხოლოდ სასმელად საკურორტო ბიუვეტში. *წყარო "ნამარნევი" ("სილამაზის წყარო")* - ნარზანის ტიპი, 5 მ³/დღე, თვითდინებით, (Aკატ.) გამოყენებულია მხოლოდ სასმელად საკურორტო ბიუვეტში. არასამრეწველო (საირმის ტიპის) - სულ 26 მ³/დღე *წყარო N3ა* - 6 მ³/დღე, თვითდინებით, (C_1კატ.) გამოყენებაში არ იმყოფება ბაქტერიოლოგიური დაბინძურების გამო. *(ჭაბ.N68)* - 20 მ³/დღე, ამოტუმბვით, (C_1კატ.) გამოიყენება მხოლოდ ჩამოსასხმელად. ჭაბ. N2,4 და 8 იმყოფება კურორტ საირმის ბალანსზე, ხოლო ჭაბ. N56 და "სილამაზის წყარო" - შ.პ.ს. "საირმე-92" ბალანსზე.
მინერალური წყლის დანიშნულება	სამკურნალო სუფრის
აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო, ადგილი	**აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 19 მაისიდან 19 ივნისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 5 ივლისს 12 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში.** გულუას ქ .N6 ტელ. 27-57-60
აუქციონზე გამოსატანი ობიექტის საწყისი ფასი	400 000 ლარი "ბე" შეადგენს საწყისი ფასის 20%-ს - 80 000 ლარი
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს "ბე"-ს შემოტანის ქვითარი	"ბე"-ს გადახდის ანგარიში: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის N200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000
თანხის გადახდის პირობები	აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა გადაიხადოს ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, ყოველთვე თანხის შესაბამისი პროპორიცულბის გადახდით. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი	ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტაციას. სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 600 ლარს. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი:საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი 300033022
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია	სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის - იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები - საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის -სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. 2) სალიცენზიო მოსაკრებლის და საწყისი ფასიდან "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები.
მოთხოვნები წიაღით სარგებლობისთვის	აუქციონში მონაწილე ვალდებულია: 1. შექმნას სპეციალური სარეჟიმო-საექსპლუატაციო სამსახური, რომელმაც უნდა უზრუნველყოს: - ყველა საექსპლუატაციო წყაროსა და ჭაბურღილზე რეგულარული რეჟიმული დაკვირვებისას ჩატარება დებიტის და წყლის ტემპერატურის გაზომვით და ძირითადი ქიმიური კომპონენტების განსაზღვრით, ბაქტერიოლოგიური ანალიზის შესრულებით; - საბადოს ჰიდრომინერალური მეურნეობის - (NN 1, 3ბ და "სილამაზის" წყაროების და N4, N5 (წყ. N2), N56 (წყ N7) და N27 (N8) ჭაბურღილების) ტექნიკურად გამართული მდგომარეობა და მათი წყლების ბაქტერიოლოგიური სისუფთავე; - ყოველწლიურად, საკურორტო სეზონის გახსნამდე, პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება ყველა მინერალურ წყაროსა და ჭაბურღილზე; 2. 2006-2007 წლებში უზრუნველყოს N3ა და N3ბ მინერალური წყაროების კაპტაჟის უბანზე მინერალური წყლის ბაქტერიოლოგიური დაბინძურების სალიკვიდაციო სადრენაჟო ნაგებობის მშენებლობის განხორციელება. 3. N3ა წყაროს წყლის ბაქტერიოლოგიური გაჯანსაღების შემდეგ (2006-2007წწ.), მასზე დამტკიცებული "C_1" კატეგორიის მარაგების (6.0მ3/დღე) მაღალ სამრეწველო კატეგორიაში გადაყვანის მიზნით, უზრუნველყოს წყაროს კაპტაჟის რეკონსტრუქცია და ჩაატაროს ორთვიანი ხანგრძლივობის ყოველდღიური რეჟიმული, ჰიდროქიმიური და ბაქტერიოლოგიური დაკვირვებები, რის შემდეგაც აღნიშნული მასალები წარმოდგენილი იქნას მარაგების სახელმწიფო კომისიაში მარაგების კატეგორიების შესაცვლელად არაუგვიანეს 2008 წლის პირველი ნახევრისა. 4. N68 ჭაბურღილის წყლის რესურსების ათვისების მიზნით ჭაბურღილის ექსპლუატაციაში შეყვანამდე მასზე დამტკიცებული "C_1" კატეგორიის მარაგების (20.0მ³/დღე) მაღალ სამრეწველო კატეგორიაში გადაყვანის მიზნით უზრუნველყოს საცდელ-საექსპლუატაციო ამოტუმბვის ჩატარება (არანაკლებ ერთ თვიანი ხანგრძლივობისა), ამ ჭაბურღილისათვის შემუშავებული მეთოდიკის გამოყენებით, რის შემდეგ მიღებული მასალები (რეჟიმული, ჰიდროქიმიური და ბაქტერიოლოგიური) წარმოდგენილ იქნას მარაგების სახელმწიფო კომისიაში კატეგორიის შესაცვლელად არაუგვიანეს 2008 წლის პირველი ნახევრისა. 5. 2006-2007 წ.წ. აღადგინოს ჰიდროქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის ფუნქციონირება კურორტის ტერიტორიაზე. 6. 2006-2007 წ.წ უზრუნველყოს საირმის საბადოს მინერალური წყლის სანიტარული დაცვის ზონების პროექტის დამუშავება და დამტკიცება. 7. უზრუნველყოს სანიტარული დაცვის ზონის ტერიტორიაზე მკაცრი კონტროლის განხორციელება. 8. უზრუნველყოს სამკურნალო მინერალური წყლის მიწოდება საკურორტო სასმელი ბიუვეტებისათვის კურორტის მიერ მოთხოვნილი რაოდენობით მასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. 9. 2007 წლის პირველ ნახევარში უზრუნველყოს საბადოს დამუშავების ტექნოლოგიური სქემის შემუშავება და დამტკიცება.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები	გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების	1) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის -

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"
☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:
თიბისი TBC BANK
BORJOMI
GPI HOLDING
GRDC

გენადი ონიშჩენკო რუსეთის ბაზარზე "ბორჯომისა" და "ნაბეღლავის" დაბრუნებას არ გამორიცხავს

B2

ქართულ სოფლებში მალე ენერგეტიკის განვითარების პროგრამა ამუშავდება

"სითი ბანკმა" თიბისი ბანკს 35 მილიონი დოლარი გამოუყო

B4

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

1	ავსტრალიური დოლარი	AUD	1,3882
1	აზერბაიჯანული მანათი	AZN	1,9979
1	არაბული დირხამი	AED	0,4903
1	აშშ დოლარი	USD	1,8005
1000	ბელორუსიული მანათი	BYR	0,8390
1	ბულგალური ლევი	BGL	1,1873
1	დანიური კრონი	DKK	0,3114
1	ეგვიპტური ბირვანქა	EGP	0,3122
1	ევრო	EUR	2,3212
10	ესტონური კრონი	EEK	1,4841
1000	თურქმენული მანათი	TMM	0,3463
1	თურქული ლირა	TRY	1,2770
10	იაპონური იენი	JPY	0,1649
1	ინგლისური ბირვანქა ს	GBP	3,4152
1000	ირანული რიალი	IRR	0,1969
10	ისლანდიური კრონი	ISK	0,2568
1	ისრაელის სეკელი	ILS	0,4067
1	კანადური დოლარი	CAD	1,6293
1	ლატვური ლატი	LVL	3,2796
10	ლიტვური ლიტი	LTL	6,6816
10	მოლდოვური ლეი	MDL	1,3797
1	ნორვეგიული კრონი	NOK	0,2968
1	პოლონური ზლოტი	PLZ	0,5996
10000	რუმინული ლეი	ROL	0,6049
1	რუსული რუბლი	RUB	0,0668
1	სინგაპურული დოლარი	SGD	1,1492
100	სომხური დრამი	AMD	0,4092
1	ტაჯიკური რუბლი	TJR	0,5601
1000	უზბეკური სუმი	UZS	1,4754
10	უკრაინული გრივნა	UAG	3,5824
100	უნგრული ფორინტი	HUF	0,8882
1	ქუვეითური დოლარი	KWD	6,2269
10	ყაზახური ტენგე	KZT	0,1470
10	ყირგიზული სომი	KGS	0,4418
1	შვედური კრონი	SEK	0,2476
1	შვეიცარული ფრანკი	CHF	1,4973
1	ჩეხური კრონი	CZK	0,0824
1	ჩინური იუანი	CNY	0,2250
1	ჰონ-კონგური დოლარი	HKD	0,2322



ლარის კურსის დინამიკა

თურქული Sanal-ის ქართველი წინამძღოლი

ეთერ მამულაშვილი

27 წლის ქართველ გია ბებიას გული ძალიან წყდება, რომ საკუთარი შრომით საქართველოს კი არა თურქეთის ბიუჯეტს ამდიდრებს, და რომ საკუთარ ბიზნესში ქართველების ნაცვლად თურქები ჰყავს დასაქმებული. ის თურქეთში ძალიან პოპულარული Sanal-ის (შანალის) სავაჭრო ცენტრების ერთ-ერთი მესაკუთრეა. თუკი სტამბულში ან იზმირში ერთხელ მაინც ყოფილხართ გია ბებიას სავაჭრო ცენტრებს თვალს აუცილებლად მოკრავდით. როგორც ამბობენ, "შანალში" საყიდლებზე სიარული თურქების სუსტი წერტილი ყოფილა.

- აქ ჩამოსვლასა და ბიზნესის კეთებაზე უწინ ბევრს ფიქრობდა, დღეს უკვე ცოტას. ამის საშუალება აქვს, სურვილი - ნაკლები. ფიქრობს, რომ საქართველოში დღეს დამოუკიდებელი ბიზნესის საწარმოებლად არცთუ სახარბიელო გარემოა შექმნილი.
- 24 წლის ქართველი ბიჭის გამოჩენა თურქულ ბაზარზე, შესაძლოა, თავიდან არასერიოზულად აღიქვეს. მითუმეტეს მაშინ როცა სერიოზული თურქი ბიზნესმენების საშუალო ასაკი 40-45 წელს შორის მერყეობს.
- მას ფულის შოვნა ისეთივე სიამოვნებას ანიჭებს, როგორც მისი ხარჯვა. განსაკუთრებულად უყვარს როცა ფულს სხვების დასახმარებლად ან სიამოვნებისთვის "იყენებს".

გია ბებია.

B2

შეხვედრა ბანკირებთან

საქართველოს ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი ბიზნესმენებთან შეხვედრებს განაგრძობს. მინისტრი გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ბანკირებს შეხვდა, სადაც მან მოწვეულებს მთავრობის ახალი საკანონმდებლო ინიციატივები და ფინანსური წინადადებები გააცნო.

- ალექსიშვილისთვის ცნობილია ის, რომ ბანკირებს საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით რამდენიმე შენიშვნა გააჩნიათ, ამიტომ იგი მზად არის, სამუშაო ჯგუფი შექმნას, რომელიც კონკრეტულად ამ საკითხებზე იმუშავებს.
- ფინანსდება ახალი პროექტი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის კუთხით, რომელიც მსოფლიო ბანკის დამატებითი რესურსებით განხორციელდება.

ბანკირების შეხვედრა ფინანსთა მინისტრთან.

B4

ცისფერი გიგანტი

IBM - კომპიუტერული სფეროს ლიდერი

გოჩა ქიმუცაძე

ამერიკული ელექტრონულ-ტექნოლოგიური კორპორაცია IBM (International Business Machines) თავისი სფეროს უპირობო ლიდერია. კომპიუტერული ტექნიკის ფართო სპექტრის მწარმოებელი, პროგრამული უზრუნველყოფისა და გლობალური საინფორმაციო ქსელის პროვაიდერი მსოფლიოს უმსხვილესი კომპანია განთქმულ ჟურნალ Forbes-ის რეიტინგში 23-ე ადგილზეა და კონკურენტებს დამაჯერებლად უსწრებს. ცისფერ გიგანტად წოდებული IBM-ის საკუთრება გახლავთ პროგრამული უზრუნველყოფის პიონერი კომპანია Lotus Development-ი და კორპორაციული კომპიუტერული ქსელების მმართველი შვილობილი კომპანია Tivoli Systems -ი. კორპორაციას სრულად აქვს დაპყრობილი ამერიკული ბაზარი და მსოფლიო ბაზრის თითქმის 40 პროცენტს აკონტროლებს. შარშან IBM-ის ფინანსურმა ბრუნვამ 91,13 მილიარდი, მოგებამ კი 7,97 მილიარდი დოლარი შეადგინა. ხოლო მიმდინარე წლის პირველ კვარტალში კორპორაციამ 1,71 მილიარდის ოდენობის მოგება მიიღო.

IBM-ი კომპიუტერული ტექნიკის ფართო სპექტრის მწარმოებელი და ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდერი უმსხვილესი კომპანიაა. იგი აკონტროლებს მთელი მსოფლიოს ბანკომატების ქსელის 95 პროცენტს, პროგრამული უზრუნველყოფის სფეროში კი მხოლოდ Microsoft-ს ჩამორჩება. კორპორაციის დირექტორთა საბჭოს ამჟამინდელი თავმჯდომარის სამუელ პალმისანოს უპირველესი მიზანი სწორედ Microsoft-ის უკან ჩამოტოვება და ელექტრონული ბიზნესის ახალი, უფრო სწრაფი და საიმედო სისტემების შექმნა გახლავთ.

თომას უოტსონ უმცროსი და თომას უოტსონ უფროსი.

B3

რუსეთში ქართულ და მოლდოვურ ღვინოსთან ბრძოლას აბრძელებენ

"როსპოტრებნადზორი" აგრძელებს ქართული და მოლდოვური ალკოჰოლური პროდუქციის ქსელიდან ამოღებას, - ამის შესახებ რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშჩენკომ პოდმოსკოვიეში 8 ათასი ლიტრი მოლდოვური ღვინის განადგურებისას განაცხადა.

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე მათი ძირითადი მიზანი აღნიშნული ღვინის კონფისკაცია და განადგურებაა. დაახლოებით ორი თვის განმავლობაში მოსკოვში შეჩერებულია 60 ათასი დეკალიტრი ღვინომასალა და 150 ათასი ლიტრი აკრძალული ალკოჰოლური პროდუქცია.

"მთელ რიგ სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებსა და საბითუმო საწყობებს შეწყვეტილი აქვთ ლიცენზიები, რაც მათ დახურვას გამოიწვევს. მათ ლიცენზიები იმიტომ შეუწყდათ, რომ ალკოჰოლური პროდუქციის შემოტანისა და რეალიზაციის აკრძალვის გადაწყვეტილება დაარღვიეს," - განაცხადა "როსპოტრებნადზორის" ხელმძღვანელმა. **მედიანიუსი**

გენადი ონიშჩენკო რუსეთის ბაზარზე "ბორჯომისა" და "ნაბეღლავის" დაბრუნებას არ გამორიცხავს

რუსეთის ბაზარზე ქართული მინერალური წყლების "ბორჯომისა" და "ნაბეღლავის" დაბრუნების პერსპექტივა არსებობს. რუსეთის მთავარმა სანიტარულმა ექიმმა გენადი ონიშჩენკომ ამის შესახებ "ინტერფაქს" განუცხადა. ონიშჩენკოს განცხადებით, რუსეთის ბაზარზე "ბორჯომისა" და "ნაბეღლავის" გაყიდვაში დაშვება თავად ქართულ მხარის მოქმედებაზე იქნება დამოკიდებული.

"პირველ რიგში, საუბარია იმაზე, რომ ქართულმა მხარემ უნდა გადაწყვიტოს რუსეთის ტერიტორიაზე თავისი მწარმოებლების მიერ ფალსიფიცირებული წყლის წარმოების პრობლემა," - განაცხადა ონიშჩენკომ. მისი თქმით, ამ საკითხის მოგვარებაზე იქნება დამოკიდებული ნამდვილი ქართული მინერალური წყლების რუსულ ბაზარზე დაბრუნების ვადებიც. როსპოტრებნადზორმა "ბორჯომის" რუსეთში შეტანა 5 მაისიდან, ხოლო რეალიზაცია 7 მაისიდან აკრძალა, 10 მაისიდან ეს აკრძალვა "ნაბეღლავზეც" ვრცელდება. აკრძალვის მიზეზად უწყება მინერალური წყლის სანიტარული ნორმების შეუსაბამობას ასახელებს.

ქართული მინისა და მინერალური წყლის კომპანია, რომელიც "ბორჯომის" მწარმოებელი და რუსეთში ექსპორტიორი ერთადერთი კომპანიაა, რუსეთის საცალო ვაჭრობის ქსელიდან "ბორჯომის" საერთოდ ამოღებას 12 ივნისამდე გეგმავს. კომპანიის პროდუქცია 30 000 მაღაზიაში იყიდებოდა, აქედან ნახევარი რეგიონებშია განლაგებული. **ინტერპრესნიუსი**

ლონდონში ქართული ღვინის გამოფენა გაიმართება

დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში 20-21 მაისს ქართული ღვინის გამოფენა გაიმართება. როგორც "საქართველოს ღვინის მწარმოებელთა ასოციაციის" თავმჯდომარემ ლევან კობერიძემ განაცხადა, გამოფენა ლონდონის "ღვინის მუზეუმში" გაიმართება და მასზე წამყვანი ქართული ღვინის კომპანიები იქნება წარმოდგენილი. კობერიძის განმარტებით, 2-დღიან გამოფენაზე მიწვეულები არიან დიდი ბრიტანეთის და სხვა ქვეყნების საქმიანი წრეების, მთავრობის და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ გამოფენა ევროპის რეკონტრუქციისა და განვითარების ბანკის ინიციატივით ტარდება. მას საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილიც დაესწრებიან. გამოფენას დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩო გაუწევს კოორდინაციას. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

აზერბაიჯანი რუსეთის ღვინის ბაზრის მონიტორინგს ატარებს

აზერბაიჯანის ექსპორტის და ინვესტიციების ხელშეწყობის ფონდი რუსეთის ღვინის ბაზრის მონიტორინგს ატარებს. ამის შესახებ აზერბაიჯანულ საინფორმაციო სააგენტო "ტრენდს" ფონდის პრეზიდენტმა ემილ მადჟიდოვმა განუცხადა. მისი განმარტებით, რუსულ ბაზარზე მონიტორინგის ჩატარების აუცილებლობა რუსეთის მიერ ქართულ და მოლდოვურ ღვინოებზე ემბარგოს დაწესების შემდეგ გაჩნდა.

"მონიტორინგის პირველადმა შედეგებმა აზერბაიჯანული ღვინის ფასებთან დაკავშირებული პრობლემები გამოავლინა. აზერბაიჯანული ღვინო ბულგარულთან შედარებით 2-ჯერ ძვირია და, ამავე დროს, დაბალხარისხიანი ფრანგული და იტალიური ღვინოების ფასი აქვს. აზერბაიჯანელი მეღვინეები ისეთ საფასო პოლიტიკას აწარმოებენ, რომ მათი პროდუქცია ფასის მიხედვით უკვე დაკავებულ ნიშაში ხვდება," - მიაჩნია ფონდის პრეზიდენტს.

მისივე თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რუსულ ბაზარზე ქართული და მოლდოვური ღვინოების ნიშა გათავისუფლდა, აზერბაიჯანული ღვინო ხარისხიდან და ფასიდან გამომდინარე, მას ვერ დაიკავებს. **"მოლდოვური ღვინო აზერბაიჯანულზე იაფია, ხოლო ქართული ღვინოები - სპეციალური სორტების, ამიტომ აზერბაიჯანულს მათი შეცვლის პერსპექტივა არ გააჩნია,"** - განაცხადა მადჟიდოვმა. მისი განმარტებით, რუსულ ბაზარზე ამჟამად ღვინო მხოლოდ ახალი აქციზური მარკებით იყიდება და ძველ აქციზიანი ღვინოები მიმოქცევიდან ამოღებულია.

"აქედან გამომდინარე, რუსულ ბაზარზე ღვინის დეფიციტია, რაც აზერბაიჯანმა თავის სასარგებლოდ უნდა გამოიყენოს. აზერბაიჯანელ მეღვინეებთან შეხვედრები მიმდინარეობს, სადაც პროდუქციაზე ფასის გადახედვას ვთავაზობთ," - განაცხადა ფონდის პრეზიდენტმა. **პრაიმ-ნიუს ბიზნესი**

აფხაზეთი "ბორჯომზე" უარს ამბობენ

აფხაზეთს **"ბორჯომი" არ სჭირდება, რადგან საკუთარი მინერალური წყალი აქვს,"** - აცხადებს სოხუმის კონსერვის ქარხნის დირექტორი ასტამურ ძიძარია. მისი თქმით, ადგილობრივ ბაზარს, ძირითადად, ეს საწარმო ამარაგებს მინერალური წყლით და დღეს მას ორი ჩამოსასხმელი ხაზი აქვს "აუდხარა" და "მარხიაული". **"ბორჯომის" ტიპის ჰიდროკარბონატ-ნატრიუმიანი წყალი "აუდხარა" გაგრის ნაკრძალში, რიწის ტბის ახლოს მოიპოვება,"** - აღნიშნა ზიძარიამ.

სოხუმის კონსერვის ქარხნის დირექტორის ინფორმაციით, რუსულ-აფხაზური ეკონომიკური თანამშრომლობის ფარგლებში, ერთ-ერთმა რუსულმა ფირმამ მის საწარმოსთან აფხაზეთიდან რუსეთში მინერალური წყლის მიწოდების ხელშეკრულება დადო, თუმცა, რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე არსებული პრობლემების გამო ეს შეთანხმება ქაღალდზე დარჩა. **მედიანიუსი**

თურქული Sanal-ის ქართველი წინამძღოლი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

ყველაფერი კი ასე დაიწყო.

თბილისი-ლონდონი-იზმირი

"გეპეი", რომ დაამთავრა თბილისში მაშინ ბევრი არაფრის გაკეთება შეიძლებოდა. უსაქმურად ვერ გაჩერდებოდა და არც იმის სჯეროდა, რომ ვინმე სამსახურს ლანგარზე დადებულს შესთავაზებდა. იმავე ზაფხულს დანაზოგი ფულითა და ცოტაც მშობლების დახმარებით თბილისი-ლონდონის ბილეთი იყიდა. **"ვიფიქრე, რომ ენას ვისწავლიდი, ხალხს და ცხოვრებას გავიცნობდი"**. იმაზე მეტი ისწავლა ვიდრე ამის მოლოდონი ჰქონდა. როგორც გია იხსენებს ლონდონში ცხვორება თავიდან ძალიან რთული იყო. ყოველ დილით 5 საათზე გაღვიძება თბილისელი 21 წლის ბიჭისთვის, რომელიც 12 საათამდე ძილს იყო მიჩვეული, არც ისე იოლი აღმოჩნდა. მატარებელში ნახევრად მძინარე ჯდებოდა და ლონდონიდან 200 კილომეტრის მოშორებით ერთ-ერთ სადგურზე ჩამოდიოდა. სამუშაოს შემდეგ ისევ იმდენივე დროს მატარებელში ატარებდა და ეს მთელი კვირა შაბათამდე გრძელდებოდა. ძალიან დამღლელი და რთული იყო, მშენებლობაზე უბრალო მუშად მუშაობდა და თანაც არცთუ ბევრს უხდიდნენ. ყოფილა დღეები, როცა სიგარეტის ფულიც არ ჰქონია. მაგრამ მალევე მიხვდა, რომ სხვა გზა არ ჰქონდა. ლონდონში, რომ მიფრინავდა იცოდა, იქ ბევრ ფულს ვერ იშოვიდა, არც იმდენს, რომ მანქანა ეყიდა ან მშობლებისთვის გამოეგზავნა. **"ვიცოდი, იმიტომ უნდა დავღლილიყავი, რომ შრომა და პატიოსნება მესწავლა".**

გია ამბობს, რომ ლონდონში გატარებული წლები, განსაკუთრებით პირველი რამდენიმე თვე მისი ცხოვრებაში ყველაზე დიდი გამოწვევა იყო. პირველად ლონდონში, რომ ჩავიდა უცებ მიხვდა, რომ 6 მილიარდიან მსოფლიოში მარტო იყო. იმასაც მიხვდა, რომ საკუთარი ადგილი ამხელა სამყაროში თავად უნდა მოეძებნა, სხვანაირად აზრი და ფასი არაფერს ექნებოდა. **"მართალია მშობლები მყავდა და ძალიან ბევრი მეგობარიც, მათ შორის რამდენიმე უკვე ლონდონში დიდი ხნის წინ იყო ჩასული, თუმცა საკუთარი ადგილის პოვნა დამოუკიდებლად მინდოდა".**

ამ დროის განმავლობაში ერთიორჯერ თბილისშიც ჩამოვიდა რამდენიმე დღით, მაგრამ ისევ ლონდონში დაბრუნდა. ბრიტანეთში თითქმის სამი წელი იცხოვრა და როგორც თვითონ ამბობს ბევრი ისწავლა. ფიქრობს, რომ იმდენს, 100 წელიც რომ ეცხოვრა საქართველოში, მაინც ვერ ისწავლიდა.

ერთ ზაფხულს თურქეთის ქალაქ იზმირში როგორც ტურისტი ისე ჩავიდა. ერთ-ერთ მაღაზიაში მუშაობა დაიწყო და იზმირში იმაზე მეტ ხანს დარჩა, ვიდრე ჩვეულებრივ ტურისტები რჩებიან ხოლმე. მალევე გია მაღაზიის მთავარ მენეჯერად დაინიშნა, რომლის ერთ-ერთი მფლობელი დღეს თავად არის. "შანალი" კარგად ცნობილი თურქული ბრენდია, რომელიც ამ სახელმწიფოში რამდენიმე დიდ სავაჭრო ცენტრს აერთიანებს.

Sanal-ში ყველაფერს იყიდი

Sanal (შანალი) - ეს ძველი თურქული სიტყვაა და ის მეთაურს, წინამძღოლს ნიშნავს. "შანალი", რომ თურქულ ბაზარზე მართლაც ერთ-ერთი ლიდერი კომპანიაა, ამას ქვემოთ მოყვანილი რამდენიმე ფაქტიც მოწმობს.

"შანალის" მაღაზიათა ქსელი თურქეთში წლიდან წლამდე ფართოვდება და დღეს მათი რაოდენობა უკვე მარტო იზმირში 8-ს აღწევს. იზმირისა და სტამბოლის გარდა, "შანალის" მაღაზიას პატარა ქალაქ მანისაშიც შეხვდებით.

აქ, კვების პროდუქტებისა და ავტომობილების გარდა, თითქმის ყველაფერი - 15 ათასი დასახელების პროდუქცია იყიდება. "თუ მოინდომებ "შანალით" ალბათ ცხოვრებას მოიწყობ", - ეს ნახევრად ხუმრობით, ისე კი, როგორც ამბობენ, "შანალი" თურქებისა და არა მარტო მათი, საყვარელი ადგილი ყოფილა, ამიტომაც აქ ხშირადაც დადიან. განსაკუთრებით პოპულარული ის იზმირშია. როგორც წესი, "შანალს" სულ ცოტა კვირაში ერთხელ მაინც უნდა ესტუმროს რიგითი იზმირელი და ხელს რაღაცა გააყალოს.

იზმირის ქუჩაში 10 გამვლელი რომ გააჩეროთ, დამერწმუნეთ, 9 "შანალს" ნამდვილად იცნობს. **"ის ერთიც ალბათ ამ ქალაქის სტუმარი ან ტურისტია",** - ხუმრობს გია.

ხარისხი, ხელმისაწვდომი ფასი და განვადება - ეს ის სამი ძირითადი მიზეზია, რის გამოც ადგილობრივ მაცხოვრებლებს "შანალი" ასე ძალიან უყვართ და რითაც ის თურქულ ბაზარზე დომინირებს.

უკანასკნელი ხუთი წელიწადია "ფილიპსისა" და "ბრაუნის" პროდუქციის გაყიდვებით "შანალი" თურქულ ბაზარზე ერთპიროვნული ლიდერია. პირველი ადგილი უკავია მას ასევე "ევიტასა" და "ჯუნგოს" პროდუქციის გაყიდვუნარინობით. ორივე თურქული კომპანიაა და საკმაოდ ცნობილი ბრენდი ადგილობრივ ბაზარზე. პირველი ტექსტილს, ხოლო მეორე სამზარეულოს ნივთებს აწარმოებს.

თურქთში დღეს მობილური ტელეფონის აპარატების დიდი ბუმია. ყოველკვირეულად აქ მილიონობით ცალი მობილური იყიდება, განსაკუთრებული მოთხოვნაა ამ პროდუქტის განვადების ფორმაზე. აღმოჩნდა, რომ "შანალს" ამ შემთხვევში მესამე ადგილი უკავია.

კიდევ ერთი, რაც "შანალის" სავაჭრო ცენტრებს მიმზიდველს ხდის, ეს ინტერნეტ მომსახურებაა, ანუ ნებისმიერ ადამიანს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია მისთვის სასურველი საქონელი "შანალის" ვებგვერდის საშუალებით შეუკვეთოს. საკმარისია, ინტერნეტ გვერდს ესტუმროთ, თქვენთვის საჭირო პროდუქცია აარჩიოთ, შეუკვეთოთ და დაელოდოთ. თქვენს შეკვეთას "შანალის" დისტრიბუტორები შეთანხმებულ დროსა და ადგილას სიამოვნებით მოგიტანენ.

"შანალის" წარმატების ერთ-ერთი საფუძველი სწორად დაგეგმილი და ეფექტური სარეკლამო კამპანია იყო. "შანალის" მაღალპოლიგრაფიული კატალოგები, ბროშურები და ბუკლეტები ათასობით თურქულ ოჯახს და ორგანიზაცის ურიგდება. **"ჩვენი პროდუქციის ძალიან დიდ ნაწილს სწორედ ამ გზით ვყიდით. სატელევიზიო რეკლამა ჩვენს სფეროში მოგებიანი ვერასდროს იქნება".** ერთი-ორჯერ რადიოში რეკლამა მოსინჯეს, მაგრამ არაეფექტური იყო. "შანალის" ბილბორდებსა და ბანერებს თურქეთის ცენტრალურ ქუჩებში კი შეხვდებით, მაგრამ ამას სხვა დატვირთვა ჰქონია. **"ეს უფრო ჩვენი მომხმარებლებისთვის თავის შეხსენებაა, რომ მას მუდამ ვახსოვდეთ".**

ქველმოქმედება

ისინიც კი, ვინც "შანალში" საყიდლებზე არ დადის, ამ კომპანიისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ. "შანალს" პატივს იმიტომაც სცემენ, რომ ის საკუთარი შემოსავლების 30 პროცენტს ქველმოქმედებაზე ხარჯავს. უფრო ხშირად "შანალი" სკოლებს, ლიცეუმებსა და კოლეჯებს ეხმარება. **"იქნება ეს მერხი, წიგნი, კომპიუტერი თუ სხვა სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ ნივთს ჩვენი ფირმა ყიდულობს".** "შანალს" საკუთარი სახელობის სტიპენდია არ აქვს, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით მაინც, მაგრამ **"ის ბავშვები, რომლებიც განსაკუთრებული ნიჭით გამოირჩევიან და მათ ოჯახებს სწავლის საფასურის გადახდა არ შეუძლიათ, ჩვენ მათ სწავლას ვაფინანსებთ".**

ქართული და თურქული ბაზრის თავისებურებები

ფიქრობს, რომ განსხვავება ძალიან დიდია, არც კი შევადარებო. რამდენიმე მიზეზის გამო: თურქეთში ბიზნესის დაწყება გაცილებით იოლია ვიდრე საქართველოში. ნაკლები ბიუროკრატია და მეტი პატიოსნება - ამბობს, რომ ეს თურქეთში საქმის დასაწყებად ძირითადი უპირატესობაა.

ალბათ ამიტომაც თურქულ ბაზარზე დღეს ძალიან დიდი კონკურენციაა, განსაკუთრებით სამაღაზიო ბიზნესში. აქ თავისუფალი ნიშა ფაქტობრივად არ არსებობს. ხუმრობით ხშირად იმასაც ამბობენ, რომ ამ სამყაროში თურქეთი ერთი დიდი მაღაზიაა. **"აქ ყველა ერთმანეთს იცნობს, იციან, ვინ რა წყალს სვამს და ვინ რას როგორ აკეთებს".**

გიას თქმით თურქულ ბიზნესში განსაკუთრებით პატიოსნება და შრომისმოყვარეობა ფასობს, წარმატებული ბიზნესის მთავარი გარანტი სწორედ ეს ორი კომპონენტი ყოფილა. **"არ უნდა იფიქრო იმაზე, რომ ვიღაცა რაღაცით მოატყუო, თორემ შესაძლოა, ერთ დღეს ყველაფერი თავად დაკარგო".**

24 წლის ქართველი ბიჭის გამოჩენა თურქულ ბაზარზე, შესაძლოა, თავიდან არასერიოზულად აღიქვეს. მით უმეტეს მაშინ, როცა სერიოზული თურქი ბიზნესმენების საშუალო ასაკი 40-45 წელს შორის მერყეობს. ამ და სხვა მიზეზების გამო, ადვილი მისახვედრია, რა მუშაობის გაწევა დასჭირდებოდა მას ნდობისა და რეპუტაციის მოსაპოვებლად. დღეს მას ყველაზე საქმიან წრეებში, თურქეთსა თუ მის ფარგლებს გარეთაც ძალიან ენდობიან. რითაც, მართალია არ გამოხატავს, მაგრამ შინაგანად მაინც ამაყობს. **"ვამაყობ იმით, რომ ამ 27 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი მათ შორის სრულიად უცხო ადმიანების, პარტნიორების ნდობა მოვიპოვე. შემიძლია მშვიდად ვიძინო და არაფრის არ მეშინოდეს, არავის ვემალებოდე. ქუჩაში მშვიდად და თავაწეული დავდივარ იმიტომ, რომ ვიცი, რაც გამაჩნია, ყველაფერი ჩემი შრომით მაქვს მოპოვებული."**

სხვებისთვის ჭკუის სწავლება და რჩევების დარიგება მაინცდამაინც არ უყვარს. ფიქრობს, რომ ასაკიდან გამომდინარე დღეს მას ამის უფლება არ აქვს. ამბობს, რომ სასწავლი თავადაც ჯერ კიდევ ბევრი რამ აქვს და სხვის გამოცდილებასაც სიამოვნებით იზიარებს. დასაწყისში, როგორც თავად იხსენებს, რამდენიმე თურქი ბიზნესმენი დაეხმარა. **"ჩემი კარიერის ნათლიები სწორედ ისინი იყვნენ".** დღეს კი ისინი მისი კოლეგები და პარტნიორები არიან. ამბობს, რომ მათ თურქეთში სერიოზული რეპუტაცია და მსხვილი ბიზნესი გააჩნიათ. ფიქრობს, რომ საქართველოში ანალოგის მოძებნა ძალიან გაუჭირდება.

სამსახურის შეძდეგ

მოგზაურობა - ეს არის ერთადერთი რამ, რითაც საკუთარ თავს ხშირად ანებივრებს. ყველაზე მეტად, სხვა ბევრ რამესთან ერთად, გეოგრაფია და ისტორია უყვარს. პირველი რასაც უცხო ქვეყანაში ჩასვლისთანავე იწყებს, იქაურ კულტურას ეცნობა. პარალელურად პარტნიორებსაც ეძებს ან უკვე მოძებნილთან ახალ საქმიან კონტრაქტებს დებს. ამ ბოლო დროს ხშირად შორეულ აზიურ ქვეყნებს, ინდონეზიას, ჩინეთსა და ინდოეთს სტუმრობს. თურმე თურქ მომხმარებლებს სიგიჟემდე მოსწონთ იქაური პროდუქცია. საკუთარი სავაჭრო ცენტრების გარდა, აზიური საქონლით ის სხვა თურქულ კომპანიებსაც ამარაგებს.

მას ფულის შოვნა ისეთივე სიამოვნებას ანიჭებს, როგორც მისი ხარჯვა. განსაკუთრებულად უყვარს როცა ფულს სხვების დასახმარებლად ან სიამოვნებისთვის "იყენებს".

ბრენდმანიით ნამდვილად არ არის შეპყრობილი, შესაბამისად არ აქვს ამოჩემებული რომელიმე ფირმის არც ტანისამოსი, არც ფეხსაცმელი და არც მამაკაცისთვის საჭირო სხვა აქსესუარები.

სისუსტე არა, მაგრამ როგორც ძლიერი სქესის უმრავლესობას ავტომობილები მასაც ძალიან უყვარს, განსაკუთრებით "ბე-ემ-ვეს" მარკის. **"თუმცა პრეტენზია არასდროს მქონია, რომ მაინცდამაინც ამ მარკის ბოლო მოდელით უნდა ვიარო".** ტექნიკიდან უპირატესობას მაინც "სონის" ანიჭებს.

სანუკვარი ოცნება

ასეთი ბევრი და კონკრეტული არა აქვს. ერთი მათ შორის განსაკუთრებულია - მიუხედავად იმისა, რომ საქართველომდე რამდენიმე ასეული კილომეტრი აშორებს და თანაც უკანასკნელი 10 წელია მშობლიური ქვეყნის ფარგლებს გარეთ ცხოვრობს, - **"მინდა რაღაც ისეთი გავაკეთო, რითაც საქართველოს გამოვადგები".**

აქ ჩამოსვლასა და ბიზნესის კეთებაზე უწინ ბევრს ფიქრობდა, დღეს უკვე ცოტას. ამის საშუალება აქვს, სურვილი - ნაკლები. ფიქრობს, რომ საქართველოში დღეს დამოუკიდებელი ბიზნესის საწარმოებლად არცთუ სახარბიელო გარემოა შექმნილი. **"რაც არ უნდა ილაპარაკონ, რომ საგადასახადო კოდექსი უფრო ლიბერალური გახდა, მაინც არა... არ შემიძლია იქაურ სისტემას ფეხი ავუწყო."**

ისე გული ძალიან წყდება იმაზე, რომ საკუთარი შრომით საქართველოს კი არა თურქეთის ბიუჯეტს ამდიდრებს, და რომ საკუთარ ბიზნესში ქართველების ნაცვლად თურქები ჰყავს დასაქმებული.

P.S. როგორც კი გაიგო, რომ ქართულ ღვინოს რუსულ ბაზარზე პრობლემები შეექმნა, ქართველი მეღვინეების დახმრება გადაწყვიტა. დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ შეეტანა ქართული პროდუქტი ადგილობრივი ღვინით გაჯერებულ თურქულ ბაზარზე. კანონი იმპორტირებულ ალკოჰოლურ ნაწარმზე ძალიან მაღალ საგადასახადო განაკვეთებს აწესებს, რაც უცხოური წარმოშობის ღვინის თურქულ ბაზარზე გამოჩენას ფაქტიურად ხელ-ფეხს უკრავს. და მაინც **"მონადირე ძაღლივით ვარ, ხან საბაჟოზე ვრეკავ, ხან აქაურ მეგობრებს ვეხმიანები, სულ ვკითხულობ და იმედი მაქვს, რომ რაღაც შეიცვლება და ქართულ ღვინოს თურქეთის ბაზარზე გასვლაში გზას ვუპოვნი".**

საფონდო ბირჟაზე 132,384 ფასიანი ქაღალდი გაიყიდა

საფონდო ბირჟაზე სავაჭროდ წარმოდგენილი 19 კომპანიის აქციებიდან გარიგება დაიდო 7 კომპანიის აქციებზე - საქართველოს ბანკი, უნივერმაღი "თბილისი", საქართველო-ლადა, საინვესტიციო კომპანია "ლიდერ-ინვესტი", "საქელექტრომანქანა", "თბილაბრეშუმი-ცისარტყელა" და "საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია".

საქართველოს ბანკის გაყიდული აქციების საერთო ღირებულებამ 172,857.42 ლარი შეადგინა; უნივერმაღი "თბილისი" - 8,100.00; საქართველო-ლადა - 9,415.50; საინვესტიციო კომპანია "ლიდერ-ინვესტი" - 105.00; საქელექტრომანქანა - 25,743.00; თბილაბრეშუმი-ცისარტყელა - 3,999.41; საქართველოს გაერთიანებული სატელეკომუნიკაციო კომპანია - 13,800.00.

გარიგებების საერთო რაოდენობა იყო 83. სულ გაიყიდა 132,384 ფასიანი ქაღალდი, რომელთა საერთო ღირებულებამ შეადგინა 234,020.33 ლარი. განაცხადები ყიდვა-გაყიდვაზე იყო, აგრეთვე, შემდეგი ემიტენტების ფასიან ქაღალდებზე: ბეჭდითი სიტყვის კომბინატი, ბაგრატიონი-1882, გაერთიანებული ქართული ბანკი, ბიზნესცენტრი "სოფმშენი", თელასი, მაცნე, სავაჭრო სახლი "ბავშვთა სამყარო", სს რეა-ქართუ, საქართველოს სახალხო ბანკი, საქტრანსპროექტი, საქწყალპროექტი, ყაზბეგი. **ჯი-ეიჩ-ენი**

მოქმედი საბაჟო გადასახადის 16 განაკვეთიდან 13 უქმდება

დღეს მოქმედი საბაჟო გადასახადის 16 განაკვეთიდან 13 გაუქმდება. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა საბაჟო გადასახადების შესახებ კანონში შესაბამისი ცვლილებების პროექტი განიხილა და პირველი მოსმენით მხარიც დაუჭირა. ცვლილებების პროექტი სხდომაზე ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ირაკლი ჩოგოვაძემ წარადგინა. მისი თქმით, საბაჟო გადასახადების სისტემაში დღეს არსებული განაკვეთების სიმრავლე რეგიონულ ჭრილში კონკურენტუნარიანი არ არის და ხელს ვერ უწყობს ქვეყანაში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს არსებობას. მოქმედი კანონით, საქართველოში სხვადასხვა სახის იმპორტირებულ პროდუქციაზე სხვადასხვა საბაჟო გადასახადია დაწესებული. კერძოდ 0, 4, 5, 6, 7, 8, 10, 12, 14, 15, 16, 17, 18, 20, 25 და 30 პროცენტიანი გადასახადი. შემცირების შედეგად იმპორტირებული პროდუქცია დაიბეგრება მხოლოდ 0, 5 და 12-პროცენტიანი საბაჟო გადასახადით. როგორც ირაკლი ჩოგოვაძემ განაცხადა, ხელისუფლება ამ ცვლილებების შედეგად ორმაგ დადებით ეფექტს ელის.

კერძოდ, გადახალისდება ძირითადი საშუალებების იმპორტი საქართველოში და ცვლილებები ასევე შემცირდება კორუფციული ქმედებების რისკიც და მისი თქმით განაკვეთების სიმრავლე სწორედ კორუფციის რისკის შემცველია.

უნდა აღინიშნოს, რომ ცვლილებების ასეთი ფორმით მიღების შემთხვევაში საბაჟო გადასახადის სახით გარკვეულ შემოსავალს დაკარგავს. კერძოდ, ვარაუდობენ, რომ ბიუჯეტის დანაკარგი წლიურად 45,7 მილიონი ლარი იქნება. თუმცა 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი ცვლილებების პროექტი უკვე მომზადებულია და პარლამენტშია წარმოდგენილი განსახილველად. **ჯი-ეიჩ-ენი**

სოფლის მეურნეობის სამინისტრო იაპონური გრანტით შემოსულ ტექნიკაზე კონკურსს აცხადებს

სოფლის მეურნეობის სამინისტრო იაპონიის გრანტით მიღებულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სარეალიზაციოდ კახეთში აგროსაინჟინრო სერვის-ცენტრებს გახსნის. სერვის-ცენტრები შეიქმნება ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარელის რაიონებში, სადაც შესაბამისი ტექნიკა საჭიროებისამებრ გადანაწილდება.

კონკურსში განაცხადების მიღება სოფლის მეურნეობის სამინისტროში 5-16 ივნისამდე გაგრძელდება. მონაწილეობის მიღება შეეძლება როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ პირს. **ჯი-ეიჩ-ენი**

ოქროს ზოდი

ბრაზილიამ, ინდოეთმა, ჩინეთმა და რუსეთმა ოქროს სავალუტო რეზერვებით უმაღლეს მწვერვალს მიაღწიეს. პირველად, მსოფლიო ისტორიაში, ამ განვითარებადმა ქვეყნებმა სავალუტო მარაგის რეზერვებით, მსოფლიოს უძლიერეს ქვეყნებსაც კი გადაუსწრეს. ასე, რომ განვითარებადი ქვეყნები მსოფლიო სავალუტო ბაზარზე ამინდს შექმნიან. რუსეთის, ბრაზილიის, ინდოეთისა და ჩინეთის გავლენა საერთაშორისო ბაზარზე თანდათან ძლიერდება. განვითარებდი ქვეყნების ამ ჯგუფს საინვესტიციო საზოგადოება უკვე ახალი სახელწოდებით, BRIC-ით ცნობს. BRIC-ის ქვეყნების რეზერვი ერთ ტრილიონ 292,2 მილიარდ დოლარს შეადგენს. რეგიონალური ლიდერების ოქროს სავალუტო მარაგი ელვის სისწრაფით იზრდება, რაც Forex-ის საერთაშორისო ბაზარზე ამ ქვეყნების გავლენის გაზრადს განაპირობებს და ამასთან ამერკული დოლარის კურსის ცვალებადობაზეც იქონიებს გარკვეულ გავლენას. 2004 წლიდან მოყოლებული ბრაზილიის, ჩინეთის, ინდოეთისა და რუსეთის ოქროს სავალუტო მარაგი 40%-ით გაიზარდა. BRIC-ის საერთო რეზერვის 68% კი ჩინეთზე მოდის, მას მოყვება რუსეთი. თუმცა სამომავლოდ სიტუაცია შესაძლოა, შეიცვალოს. ექსპერტების გათვლებით, ჩინეთში ოქროს მარაგი თანდათან დაიკლებს, ბრაზილიაში, რუსეთსა და ინდოეთში კი დაახლოებით 10%-ით მოიმატებს. აღნიშნულმა ქვეყნებმა და განსაკუთრებით რუსეთმა, ოქროს სავალუტო მარაგის აკუმულირება 1990-იანი წლებიდან დაიწყეს. მაშინ, როცა ეს ქვეყნები ფინანსური კაპიტალით საკმაოდ დაბალ საფეხურზე იდგნენე. უნდა აღინიშნოს, რომ დოლარის დღევანდელი კურსი ჩინეთის, ინდოეთის, რუსეთისა და ბრაზილიის ბანკების გადწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

R.J Reinolds Tobacco 5 მილიონ დოლარს იხდის

კომპანია R.J Reinolds Tobacco-ს კალიფორნიის შტატის მიერ ჩატარებულმა გამოძიებამ 5 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა. სიგარეტის მწარმოებელი ეს კომპანია ამერიკის შეერთებულ შტატებში სიდიდით მეორეა. შეთანხმების საფუძველზე, სიგარეტის მწარმოებელი კომპანია R.J Reinolds Tobacco საზოგადოებრივი ღონისძიებებისთვის 3,1 მილიონს და თამბაქოს საწინააღმდეგო ორგანიზაციებს კი ერთ მილიონ დოლარს გადაუხდის. დანარჩენი 900 ათასი კი სასამართლო დანახარჯებს მოხმარდება. უნდა აღინიშნოს, რომ თამბაქოს ბიზნესში მსგავსი ბრძოლები ამერიკის შეერთებულ შტატებში იშვიათ მოვლენას ნამდვილად არ წარმოადგენს. ცნობილია მრავალი ფაქტი, როცა თამბაქოს მწეველებს, ჯანმრთელობისთვის მიყენებული ზიანის სანაცვლოდ სიგარეტის მწარმოებელი კომპანიებისთვის მილიონობით დოლარი წაურთმევიათ. იმ კომპანიებს შორის, რომლებიც სასმართლოში მოხვედრილან, არიან ისეთი სერიოზული მწარმოებლებიც, როგორიცაა Altira Group, Lorillad Tobacco, Brown, Williamson და Liggett Group.გამოძიების პრაქტიკიდან გამომდინარე, ძირითად შემთხვევებში, აღნიშნული კომპანიები სიგარეტში ნიკოტინის შემცველობით მანიპულირებდნენ, რათა მწეველებში სიგარეტზე მოთხოვნილება კიდევ უფრო გაეზარდათ. სასმართლო ასევე დიდ ყურადღებას იმ სარეკლამო კამპანიაზე ამახვილებს, რომელთა მეშვეობითაც სიგარეტის მწარმოებლები არასრულწლოვნებზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ.

ნავთობის ექსპორტიდან ირანის შემოსავალი 55 მლრდ დოლარს მიაღწევს

ნავთობის ექსპორტიდან ირანის შემოსავალი 2006 წელს 10 მლრდ დოლარით გაიზრდება. ამის შესახებ ირანის ეროვნული ნავთობკომპანიის საერთაშორისო განყოფილების დირექტორმა აიათოლა განიმიფარდიმ განაცხადა. ბარელზე საშუალო ფასის - 65 დოლარის ფარგლებში დაფიქსირების შემთხვევაშიც კი ირანის შემოსავალი 55 მლრდ. დოლარს მიაღწევს. 2005 წელს ნავთობის იმპორტიდან ირანის შემოსავალი დაახლოებით 45 მლრდ. დოლარი იყო. ამჟამად ირანის ექსპორტი დღე-ღამეში 2,4 მლნ. ბარელს შეადგენს. მსოფლიოს ნავთობის ბირჟებზე ნავთობის ფასი დაახლოებით 69.04 დოლარია. **ინტერპრესნიუსი**

ცისფერი გიგანტი

ᲕᲘᲠᲒᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

გერმანელი ემიგრანტის პირმშო

IBM-ის ისტორია, რომელსაც თამამად შეგვიძლია ელექტრონულ-გამომთვლელი და კომპიუტერული ტექნიკის ისტორია ვუწოდოთ, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იწყება. მოსახლეობის აღწერის ბიუროს თანამშრომელმა, გერმანელმა ემიგრანტმა ჰერმან ჰოლერიტმა თავის ხელმძღვანელობას ემიგრანტთა სტატისტიკური აღრიცხვის პერფორირებული ბარათების საშუალებით ავტომატიზირების იდეით მიმართა. მის მიერ მონაცემთა გადასამუშავებლად შექმნილი ელექტრონული მანქანა წარმატებული აღმოჩნდა და 1896 წელს ჰოლერიტმა ფირმა Tabulating Machine Co დააარსა.

ჰოლერიტის საქმეები მშვენივრად აეწყო და 1911 წელს მას ჩარლზ ფლინტმა თავის ორ ფირმასთან, რომლებიც ასევე სტატისტიკურ მონაცემთა ავტომატიზაციაზე მუშაობდა, Tabulating Machine Co-ს გაერთიანების წინადადებით მიმართა. ჰოლერიტმა თანხმობა განაცხადა და იმავე წლის 15 ივნისს ნიუ იორკში დარეგისტრირდა ახალი ფირმა, რომელსაც computing Tabulating Recording (CTR) ეწოდა. CTR-მა ბაზრის თავისი სექტორის ათვისება მალე მოახერხა და საკმაოდ მოკლე დროის შემდეგ მისი განყოფილებები ვაშინგტონში, დეტროიტში, ტორონტოსა და დაიტონში გაიხსნა.

1914 წელს CTR-ის გენერალურ მენეჯერად თომას უოტსონ უფროსი დაინიშნა, რომლის სახელსაც 1920-1940 წლებში კომპანიის ძირითადი მიღწევები უკავშირდება. შოტლანდიელ ემიგრანტთა შვილი უოტსონი CTR-ში მუშაობის დაწყებიდან 11 თვის შემდეგ კომპანიის პრეზიდენტი გახდა.

უოტსონის სწორმა სტრატეგიამ ნაყოფი მალე გამოიღო. 1919 წლისათვის კომპანიის ფინანსური ბრუნვა გაორმაგდა და 2 მილიონ დოლარს მიაღწია. თანდათანობით დაიწყო მსოფლიო ბაზრის ათვისება, CTR-ის მანქანები უკვე ევროპაში, სამხრეთ ამერიკაში, აზიასა და ავსტრალიაში იყიდებოდა და, ამიტომაც, 1924 წელს კომპანიას სახელი გადაარქვეს და International Business Machines (IBM) უწოდეს.

თავისთავად ცხადია, 30-იანი წლების დიდ დეპრესიას IBM-ისათვის შეუმჩნევლად არ ჩაუვლია. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და გვარიანი შემცირებებიც განხორციელდა, უოტსონი სამეცნიერო კვლევებს მაინც აფინანსებდა და იძულებით შვებულებაში გაშვებულ თანამშრომლებსაც მიზერულ თანხას უხდიდა.

ამიტომაც იყო, რომ კომპანიამ სახე და შრომისუნარიანობა შეინარჩუნა და როცა ამერიკის ხელისუფლებას 26 მილიონი ადამიანის დასაქმების მაჩვენებლის ავტომატური გამოთვლა დასჭირდა, IBM-ი მზად იყო, შეკვეთა უმოკლე დროში და ხარისხიანად შეესრულებინა. მას შემდეგ კორპორაცია IBM -ი გამუდმებით ასრულებს სახელმწიფო ორგანიზაციების შეკვეთებს. იმავე, 1935 წელს კომპანიის ინჟინრებმა მსოფლიოში პირველი ელექტრონული საბეჭდი მანქანა შექმნეს.

უმცროსი უოტსონი და უამრავი სიახლე

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში კორპორაციის საწარმოო სიმძლავრეები თავდაცვის შეკვეთების შესრულებაზე იქნა ორიერინტირებული. მიუხედავად ამისა, სწორედ IBM-ის ლაბორატორიებში ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებთან ერთად მიმდინარეობდა მუშაობა პირველი ელექტრო-გამომთვლელი მანქანის - ავტომატური თანმიმდევრობით მართვადი კალკულატორის შესაქმნელად.

პირველი ამგვარი მანქანა 1944 წელს შეიქმნა და მას Mark 1 ეწოდა. ეს ელექტრო-გამომთვლელი მანქანა დაახლოებით ხუთ ტონას იწონიდა და საკმაოდ ნელიც იყო, მაგრამ ძალიან რთული მათემატიკური გამოთვლების თანმიმდევრობის შესრულება შეეძლო. 1946 წელს IBM-მა შექმნა ელექტრო-გამომთვლელი მანქანა IBM 603 Multiplier-ის პირველი კომერციული მოდელი, რომელსაც წილად დიდი მოწონება ხვდა და კომპანიას გვარიანი მოგებაც მოუტანა.

1952 წელს კომპანიამ გამოუშვა ელექტრო-გამომთვლელი მანქანა IBM 701, რომელიც პირველად გამოიყენეს ელექტრონულ-ვაკუუმური ნათურა. Mark 1-ში გამოყენებული ელექტრო-მექანიკური გადამრთველებისაგან განსხვავებით, IBM-ის ინჟინრებმა ელექტრონული ლამპები იოლად იცვლებოდა და, რაც მთავარია, ამ სიახლემ გამოთვლების სიჩქარე წამში 17 ათას ოპერაციამდე გაზარდა. იმავე წელს თომას უოტსონ უფროსმა, რომელიც კომპანიას თითქმის 40 წელი ხელმძღვანელობდა, პოსტი თავის შვილს, თომას უოტსონ უმცროსს გადააბარა.

15.მცვ	სერხიო რამოსი	3/30/1986	რეალი	ესპანეთი
16.ნახ	მარკოს სენა	7/17/1976	ვილიარეალი	ესპანეთი
17.ნახ	ხოაკინი	7/21/1981	ბეტისი	ესპანეთი
18.ნახ	სესკ ფაბრეგასი	5/4/1987	არსენალი	ინგლისი
19.მეკ	სანტიაგო კანისარესი	12/18/1969	ვალენსია	ესპანეთი
20.მცვ	ხუანიტო	7/23/1976	ბეტისი	ესპანეთი
21.ფორ	დავიდ ვილია	12/3/1981	ვალენსია	ესპანეთი
22.მცვ	პაბლო	8/3/1981	ატლეტიკო	ესპანეთი
23.მეკ	ხოსე მანუელ რეინა	8/31/1982	ლივერპული	ინგლისი

მწვრთნელი: ლუის არაგონესი

უკრაინა

1.მეკ	ალექსანდრ შოვკოვსკი	1/2/1975	დინამო	უკრაინა
2.მცვ	ანდრეი ნესმაჩნი	2/28/1979	დინამო	უკრაინა
3.მცვ	სერგეი ფიოდოროვი	2/18/1975	დინამო	უკრაინა
4.ნახ	ანატოლი ტიმოშჩუკი	3/30/1979	შახტარი	უკრაინა
5.მცვ	ვლადიმირ იეზერსკი	11/15/1976	დნიპრო	უკრაინა
6.მცვ	ანდრეი რუსოლი	1/16/1983	დნიპრო	უკრაინა
7.ფორ	ანდრეი შევჩენკო	9/29/1976	მილანი	იტალია
8.ნახ	ოლეგ შილაევი	11/5/1976	დნიპრო	უკრაინა
9.ნახ	ოლეგ გუსევი	4/25/1983	დინამო	უკრაინა
10.ფორ	ანდრეი ვორონინი	7/21/1979	ბაიერი	გერმანია
11.ნახ	სერგეი რებროვი	6/3/1974	დინამო	უკრაინა
12.მეკ	ანდრეი პიატოვი	6/28/1984	ვორსკლა	უკრაინა
13.მცვ	დმიტრო ჩირგინსკი	11/7/1986	შახტარი	უკრაინა
14.ნახ	ანდრეი ჰუსინი	12/11/1972	კრილია	რუსეთი
15.ფორ	არტიომ მილევსკი	1/12/1985	დინამო	უკრაინა
16.ფორ	ანდრეი ვორობეი	11/29/1978	შახტარი	უკრაინა
17.მცვ	ვლადისლავ ვაშჩუკი	1/2/1975	დინამო	უკრაინა
18.ნახ	სერგეი ნაზარენკო	2/16/1980	დნიპრო	უკრაინა
19.ნახ	მაქსიმ კალინიჩენკო	1/26/1979	სპარტაკი	რუსეთი
20.ფორ	ოლექსეი ბელიკი	2/15/1981	შახტარი	უკრაინა
21.ნახ	რუსლან როტანი	10/29/1981	დინამო	უკრაინა
22.მცვ	ვიაჩესლავ სვიდერსკი	1/1/1979	არსენალი	უკრაინა
23.მეკ	ბოგდან შუსტი	3/4/1986	შახტარი	უკრაინა

მწვრთნელი: ოლეგ ბლოხინი

ტუნისი

1.მეკ	ალი ბუმნიჟელი	4/13/1966	აფრიკანი	ტუნისი
2.ფორ	ქარიმ ესედირი	7/29/1979	რუსენბორგი	ნორვეგია
3.მცვ	ქარიმ ჰაგუი	1/20/1984	სტრასბური	საფრანგეთი
4.მცვ	ალდინე იაჰია	9/26/1981	სტ.ეტიენი	საფრანგეთი
5.ფორ	ჟაიდ ზაირი	7/12/1978	ტრუა	საფრანგეთი
6.მცვ	ჰატემ ტრაბელსი	1/25/1977	აიაქსი	ჰოლანდია
7.მცვ	მეჰდი მერიაჰი	6/5/1979	დე საჰელი	ტუნისი
8.ნახ	მეჰდი ნაფტი	11/28/1978	ბირმინგემი	ინგლისი
9.ფორ	იასინ ჩიკაუი	9/22/1986	დუ საჰელი	ტუნისი
10.ნახ	კაიეს გოდბანე	1/7/1976	ქონია	თურქეთი
11.ფორ	სანტოსი	3/20/1979	ტულუზა	საფრანგეთი
12.ნახ	ჟაჰარ მნარი	11/8/1976	ნიურნბერგი	გერმანია
13.ნახ	რიად ბუაზიზი	4/8/1973	ერსიე	თურქეთი
14.ნახ	ადელ ჩედლი	9/16/1976	ნიურნბერგი	გერმანია
15.მცვ	რადჰი ჟაიდი	8/30/1975	ბოლტონი	ინგლისი
16.მეკ	ადელ ნეფზი	3/16/1974	მონტასარი	ტუნისი
17.ფორ	ისამ ჟომა	1/28/1984	ლანსი	საფრანგეთი
18.მცვ	დავიდ ჟემალი	12/13/1974	ბორდო	საფრანგეთი
19.მცვ	ანის აიარი	2/16/1982	სამსუნი	თურქეთი
20.ნახ	ჰამედ ნამუჩი	2/14/1984	რეინჯერსი	შოტლანდია
21.მცვ	კარიმ საიდი	3/24/1983	ლეჩე	იტალია
22.მეკ	ჰამდი კასრაუი	1/18/1983	ესპერანსე	ტუნისი
23.ნახ	სოლფინე მელიტი	8/18/1978	გაზიანთეპი	თურქეთი

მწვრთნელი: როჟე ლემერი

საუდის არაბეთი

1.მეკ	მუჰამედ ალ დეიაია	8/2/1972	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
2.მცვ	ჰამედ დოკჰი	10/25/1976	ალ იტიჰადი	საუდის არაბეთი
3.მცვ	რედჰა ტუკარი	11/29/1975	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
4.მცვ	ჰამად ალ მონტასარი	6/22/1982	ალ იტიჰადი	საუდის არაბეთი
5.მცვ	ნაიფ ალ ქადი	4/3/1979	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
6.ნახ	ომარ ალ ჩამადი	4/11/1979	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
7.ნახ	მუჰამედ ამენი	4/29/1980	ალ იტიჰადი	საუდის არაბეთი
8.ნახ	მუჰამედ ნური	2/26/1978	ალ იტიჰადი	საუდის არაბეთი
9.ფორ	სამი ალ ჯაბერი	12/11/1972	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
10.ნახ	მუჰამედ ალ შილობი	12/8/1980	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
11.ფორ	საად ალ ჰატი	2/3/1984	ალ ნასარი	საუდის არაბეთი
12.მცვ	აბდულაზიზ ჰატარანი	7/31/1973	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
13.მცვ	ჰუსეინ სულეიმანი	1/21/1977	ალ ახლი	საუდის არაბეთი
14.ნახ	საუდ ხარირი	7/8/1980	ალ იტიჰადი	საუდის არაბეთი
15.მცვ	აჰმედ ალ ბაჰრი	9/18/1980	ალ ლიფაგი	საუდის არაბეთი
16.ნახ	ჰალიდ აზიზი	7/14/1981	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
17.ფორ	მოჰამედ ალ ანბარი	3/22/1985	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
18.ნახ	ნავაფ ალ ტემიატი	6/28/1976	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
19.ნახ	მუჰამედ მასადი	2/17/1983	ალ ახლი	საუდის არაბეთი
20.ფორ	იასერ ალ კატანი	10/10/1982	ალ ჰილალი	საუდის არაბეთი
21.მეკ	მაბრუკ ზაიდი	2/11/1979	ალ იტიჰადი	საუდის არაბეთი
22.მეკ	მოუჰამედ ჰოჯაჰი	3/15/1982	ალ შაბაბი	საუდის არაბეთი
23.ფორ	მალეკ მოატი	8/10/1981	ალ ახლი	საუდის არაბეთი

მწვრთნელი: პაკიტა

DREAM TEAM II

ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი უხვგოლიანი, დაუვიწყარი, ფანტასტიკური და, გნებავთ, დრამატული ფინალის შემდეგ, რომელშიც "მილანმა" და "ლივერპულმა" ნამდვილი საფეხბურთო სპექტაკლი დადგეს, წლეულს ყველა უკეთესის მოლოდინში ვიყავით.

მოლოდინის მიზეზი კი ნამდვილად გვქონდა. პარიზის "სტად დე ფრანსზე" ორი დიდი გუნდი - "არსენალი" და "ბარსელონა" ხვდებოდა ერთმანეთს, ორი დიდი ფეხბურთელის - რონალდინიოსა და ანრის დუელი უნდა გვეხილა, ორი დიდი სპეციალისტის - არსენ ვენგერისა და ფრანკ რაიკაარდისგან ერთ-ერთი უფრო ძლიერი უნდა აღმოჩენილიყო. დაბოლოს, რა თქმა უნდა, გოლების წვიმასაც ველოდით. გოლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ პარიზში იმ დღეს მართლაც დიდი წვიმა მოვიდა, მაგრამ სამი გოლი და კარგი ფეხბურთი მაინც ვიხილეთ.

ერთი სიტყვით, ვიღაცის მოლოდინი გამართლდა, ვიღაცისა - არა. მავანი იმასაც იტყვის, ნორვეგიელი მსაჯის მიერ "მეთოფეთა" მეკარის იენს ლემანის გაძევების გამო თამაში გაფუჭდაო, თუმცა...

პარიზის გადაჭედილ "სტად დე ფრანსზე" გამარჯვება რაიკაარდის სამწყსომ და მათმა გულშემატკივრებმა იზეიმეს. ზოგიერთები იმასაც იტყვიან, "ბარსას" უფრო გაუმართლაო, მაგრამ ძნელია გამართლება უწოდო, რადგან კატალონიელთა შეჩერება ფაქტობრივად წარმოუდგენელია - გინდ რონალდინიო შებოჭე, გინდ ეტოო და გინდ დეკუ, გუნდს მაინც შეუძლია ნებისმიერ წამში გაბრწყინება და ჩემპიონურად მოგება.

პარიზის შემდეგ ყველაზე ხმაურიანად კატალონიელთა ტრიუმფის ამბავი რამბლესში აღნიშნეს. კატალონიის დედაქალაქის ამ რაიონში იმ ღამეს 125 ათასი გულშემატკივარი გამოვიდა ქუჩაში - ასეთი სიხარული ბარსელონაში 1992 წლის შემდეგ, კრუიფის დიდებული ეპოქის მერე აღარ ახსოვდათ...

ამ გამარჯვებით კატალონიელთა დამრიგებელი ფრანკ რაიკაარდი მეხუთე გახდა მათ შორის, ვინც ჩემპიონთა თასს არა მხოლოდ მოთამაშის, არამედ მწვრთნელის რანგშიც დაეუფლა. აქამდე იგივე შედეგს მიაღწიეს მიგელ მუნიოსმა, ჯოვანი ტრაპატონიმ, იოჰან კრუიფმა და კარლო ანჩელოტიმ.

ფინალური მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს 25 წლის კამერუნელი თავდამსხმელი სამუელ ეტო`ო, რომელიც გამარჯვებით იმდენად იყო ეგზალტირებული, სიტყვებს ვერ პოულობდა:

"ჯერ კიდევ ვერ ვხვდები, რას მივაღწიეთ. სიტყვები არ მყოფნს, რომ გამოვხატო რას ვგრძნობ ამ წუთებში. ჩემი აზრით, იმას, რაც დღეს მოხდა, კარიერის დასრულების შემდეგ უფრო კარგად მივხვდები. **რამდენიმე წლის შემდეგ ჩემს ბიჭს ვეტყვი: "საყვარელო, "სტად დე ფრანსზე" ევროპის თასი მოვიგეთ, მამაშენმა კი ფინალში ანგარიში გაათანაბრა**".

"ბარსელონას" გამარჯვების შემოქმედმა, ჰოლანდიელმა ფრანკ რაიკაარდმა მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ ეს გამარჯვება კატალონიური გუნდის ერთსულოვნებამ შექმნა:

"აქამდე არაერთხელ მითქვამს, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალი განსაკუთრებული მატჩია, რომელსაც ფავორიტები არ ჰყავს. "არსენალმა" კარგად დაიწყო, ჩვენ - არცთუ ისე კარგად, მაგრამ თანდათან ბოლომდე გავიხსენით. წითელმა ბარათმა 90 გრადუსით შემოაბრუნა მატჩი, რომელშიც ლონდონელებმა საკმაოდ ძლიერად ითამაშეს, ათი კაცით გოლიც გაგვიტანეს, მაგრამ რას იზამ... **ეს "ბარსელონას" მატჩი იყო და არა ჩემი, ბელეტის, ეტოოს, რონალდინიოსი. ჩვენ შესანიშნავი გუნდი გვყავს, გოლის გატანა ნებისმიერს შეუძლია**."

ესპანურმა გამოცემებმა ბელეტის გოლს "სახალხო ზეიმის გოლი" უწოდეს, თავად მცველი კი გამოტყდა, რომ ეს იქნება მის კარიერაში ყველაზე დაუვიწყარი გოლი, რომელიც თანაგუნდელთა თანადგომით გაიტანა.

"არსენალზეც" ვთქვათ - "ბარსელონასგან" განსხვავებით, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის მოგებამდე რამდენიმე დღით ადრე პრემიერლიგაში მეოთხე ადგილს დასჯერდნენ. თუმცა, ჩემპიონთა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში ლონდონელები მთელი სეზონის განმავლობაში ბრწყინავდნენ. გზადაგზა კი ჩამოიტოვეს ისეთი ძლიერი მეტოქეები, როგორებიც არიან მადრიდის "რეალი" და ტურინის "იუვენტუსი". სპეციალისტთა და გულშემატკივართა ერთი ნაწილი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ "არსენალი" "

"დეტროიტმა" პოზიციები დათმო



ლებრონს ფრთები ვერ შეკვეცეს.

აღმოსავლეთ კონფერენციის ერთი ფინალისტი უკვე ცნობილია. "მაიამის" მეტოქე "დეტროიტისა" და "კლივლენდის" დაპირისპირებაში ირკვევა. გუშინ გაიმართა ნახევარფინალური სერიის მეხუთე მატჩი, რომელსაც დეტროიტმა უმასპინძლა. წესით, ფავორიტადაც ეს გუნდი მოიაზრებოდა, მაგრამ ლებრონ ჯეიმსმა და მისმა თანაგუნდელებმა თითქმის შეუძლებელი შეძლეს - მატჩის ბოლო წამებზე დრიუ გუდენის ზუსტი ტყორცნით თამაში "კლივლენდმა" მოიგო და სერიაში ანგარიშით 3:2 დაწინაურდა, რაც კლივლენდელებს სერიის მოგების რეალურ შანსს აძლევს.

შეხვედრა საოცრად დაძაბული გამოდგა. ბოლო წამამდე ყველაფერი გაურკვეველი იყო. მაშინ, როდესაც თითქოს ოვერტაიმი გარდაუვალი იყო, ლებრონმა მშვენიერი გადაცემით მონახა დრიუ გუდენი, რომელმაც ზუსტი ტყორცნით თავის გუნდს ანგარიშით 86:84 გაამარჯვებინა.

მატჩის საუკეთესო მოთამაშე კი ლებრონ ჯეიმსი გახლდათ. მაიკლ ჯორდანის მემკვიდრედ შერაცხულმა კალათბურთელმა საკუთარ გუნდს 32 ქულა შესძინა, ამავე დროს ლებრონის ანგარიშზე 5 მოხსნა, 5 შედეგიანი გადაცემა და ერთი ბლოკშოტია. დეტროიტელთა შორის ყველაზე უკეთ ტაიშონ პრინსმა ითამაშა. მის ანგარიშზე 21 ქულა, 8 ფარიდან მოხსნილი ბურთი, 5 შედეგიანი გადაცემა და 2 ბოლკშოტია.

მოკლედ, აშკარაა, რომ "კლივლენდი" სერიის პირველი ორი მატჩის წაგების შემდეგ გონს მოეგო. პირველ რიგში ათამაშდა ლებრონ ჯეიმსი და სწორედ ამის წყალობით იგებს "კავალიერსი".

რაც შეეხება დასავლეთ კონფერენციის ნახევარფინალს, ლიგის ორი საუკეთესო გუნდის დაპირისპირებაში ჯერჯერობით "დალასი" ლიდერობს. შეგახსენებთ, რომ ოთხი შეხვედრის შემდეგ "მავერიკსი" სერიას ანგარიშით 3:1-ს იგებდა და მეხუთე მატჩში ნოვიცკისა და კომპანიას საქმის ბოლომდე მიყვანაც შეეძლოთ. მატჩის ბედი ბოლო 6 წამში გადაწყდა, როდესაც "სან ანტონიოს" კალათბურთელებმა ოთხი ქულის დაგროვება მოახერხეს და შეხვედრა ანგარიშით 98:97 მოიგეს. ბრწყინვალედ ითამაშეს ტიმ დანკანმა და ტონი პარკერმა. დანკანის ანგარიშზე 36 ქულა, 12 მოხსნა, 4 შედეგიანი გადაცემა და 3 ბლოკშოტია, პარკერმა კი, რომელსაც ამ დღეს დაბადების დღე ჰქონდა, გუნდს 27 ქულა შესძინა. აქედან უმეტესობა - გადამწყვეტ, მეოთხე მეოთხედში.

დალასელთა შორის საუკეთესო იყო დირკ ნოვიცკი. გერმანელი კალათბურთელის ანგარიშზე 31 ქულა, 10 მოხსნა და 4 შედეგიანი გადაცემაა.

ნუ მოწევთ!

მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორებმა თხოვნით მიმართეს გულშემატკივრებს, რომ სტადიონებზე სიგარეტი არ მოწიონ. თავიდან იმასაც კი ვარაუდობდენე, რომ ტრიბუნებზე სიგარეტის მოწევა აკრძალული იქნებოდა, მაგრამ ორგანიზატორები ამ რადიკალურ ზომაზე არ წავიდნენ. სამაგიეროდ სტადიონზე მისულ გაღშემატკივარს დახვდება ფურცლები ორგანიზატორთა თხოვნით, რომ თავი შეიკავონ სიგარეტის მოწევისგან.

1000 დოლარი ლუისისგან

მსოფლიოს ექსჩემპიონმა მძიმე წონაში ლენოქს ლუისმა ახალი გასართობი მოიგონა. ბრიტანელმა მოკრივემ რინგი საჭადრაკო დაფაზე გაცვალა და ცდილობს დაამტკიცოს, რომ მას შემდეგ, რაც პროფესიული მოკრივის კარიერა დაასრულა, უქმად არ იყო და საკუთარი ინტელექტუალური შესაძლებლობები გაზარდა.

23 მაისს ნიუ იორკში უნდა გაიმართოს ჭადრაკის ფესტივალი, რომლის ეგიდით ლენოქს ლუისი საინტერესო ტურნირს მოაწყობს. ლეგენდარული მოკრივე ინტერნეტის საშუალებით ერთდროულ საჭადრაკო სეანსს გამართავს. ნებისმიერი მეტოქე, ვინც ამ ონლაინ-თამაშში ლენოქს ლუისს "ნოკაუტში" გაგზავნის, 1000 დოლარს მიიღებს საჩუქრად.

მორიენტესი მიდის

რამდენიმე დღის წინ "ლივერპულის" თავკაცმა რაფა ბენიტესმა განაცხადა, რომ ზაფხულში ტრანსფერზე დააყენებს ფერნანდო მორიენტესს. როგორც ჩანს, არც თავად ფეხბურთელს სურს მერსისაიდულ კლუბში დარჩენა.

"უკვე წელიწადნახევარია, რაც "ლივერპულში" ვთამაშობ. არც ტრავმა მიმიღია და თითქოს ყველაფერი წესრიგში უნდა იყოს, მაგრამ "ენფილდზე" მუდმივად ვგრძნობ დისკომფორტს. ბენიტესს უნდა დაველაპარაკო. მაინტერესებს, ვჭირდები თუ არა მას. სათადარიგო ფეხბურთელის როლი არ მაკმაყოფილებს. ამის გამო დავტოვე "რეალი". სათადარიგოთა სკამზე არც "ლივერპულში" ვაპირებ დაჯდომას", - აცხადებს მორიენტესი.

ლამი ორ კვირას დაისვენებს

გერმანიის ნაკრების მცველს ფილიპ ლამს გუშინ მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. გერმანული მედიის ინფორმაციით, ლამი ორ კვირას დაისვენებს და შემდეგ შეძლებს ვარჯიშის დაწყებას. შეგახსენებთ, რომ კლინსმანმა ლამი ბუნდესნაკრების 23-კაციან განაცხადში შეიყვანა. სავარაუდოდ, ტრავმა მუნდიალზე თამაშში ხელს არ შეუშლის.

ქუჩას კალათბურთი უბრუნდება

გიგა გურასაშვილი

კარგი ფეხბურთი ქუჩიდან იწყება. კალათბურთიც. თუმცა, ჩვენში ორივე ტრადიცია მოშლილი იყო. ყოველ შემთხვევაში, შარშანდლამდე მაინც. დღეს მეტ-ნაკლებად, მაგრამ ბავშვები ქუჩის ფეხბურთს და კალათბურთს დაუბრუნდნენ. ხელშემწყობი ფაქტორი საქართველოს ყველა რეგიონში მოწყობილი კომბინირებული სპორტული მოედნებია. წლეულს, 7 მარტს, საქართველოში ქუჩის კალათბურთის ასოციაცია ჩამოყალიბდა.

სთრითბოლის ასოციაციის მესვეურებს დიდი გეგმები აქვთ.

ახლად დაარსებული ასოციაციის მიზანი, რა თქმა უნდა, ქვეყანაში კალათბურთის იმ განშტოების პოპულარიზაციაა, რომელსაც ქუჩის კალათბურთი ეწოდება, იგივე სთრითბოლი, როგორც მას უცხოეთში უწოდებენ. ბუნებრივია, თავიდან ყველაფერი ლოკალური მასშტაბით დაიწყება, მერე კი ასოციაციის ხელმძღვანელებს საერთაშორისო ტურნირების ჩატარებაც განუზრახავთ.

ასოციაციამ უკვე მოასწრო ერთი ტურნირის ორგანიზება. ცხადია, ადგილობრივი მასშტაბის.

ტურნირის ჩატარება ახლაც აქვთ განზრახული. თარიღიც დათქმულია. 20-21 მაისს სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიოტორია სთრითბოლის ფესტივალს უმასპინძლებს და მასში 16 გუნდი იასპარეზებს.

გუშინ კაფე "მსოფლიო სპორტში" გამართულ შეხვედრაზე გვითხრეს, რომ ქუჩის კალათბურთის ასოციაცია ფესტივალს ჩაატარებს კომპანია YMC-თან ერთად, რომელიც მანამდე ასეთი ღონისძიების ჩატარების მთავარი ინიციატორი გახლდათ.

ასოციაცია საქართველოს სთრითბოლის ლიგის ჩამოყალიბებასაც აპირებს, რაც საქართველოს ჩემპიონატების ჩატარებას გულისხმობს. ახლო მომავალში სთრითბოლის უნივერსიადაც ჩატარდება. წინასწარი შეთანხმებით უნივერსიადაში მონაწილეობას მიიღებენ სპორტის აკადემიის, შავი ზღვის უნივერსიტეტის, სამედიცინო უნივერსიტეტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკური უნივერსიტეტის გუნდები. უნივერსიადა ტრადიციული ტურნირის სახეს მიიღებს თავისი გარდამავალი თასით.

ასოციაციის მესვეურებს სთრითბოლის ტურნირებში ვეტერანი კალათბურთელების ჩართვაც სურთ - კალათბურთი უნდა გავახსენოთო.

ახლად ჩამოყალიბებულ ასოციაციას გვერდში ამოუდგება საქართველოს კალათბურთის ფედერაცია. კერძოდ, ფედერაცია ასოციაციას დაეხმარება ფინანსურადაც და საორგანიზაციო სტრუქტურის დახვეწაშიც. ფედერაცია ტურნირებს უზრუნველყოფს მონაწილეთა მაისურებით, გუნდური და ინდივიდუალური ჯილდოებით და მსაჯებით, რომლებიც, თავის მხრივ, ასოციაციის ეგიდით გამართულ ტურნირებს მოემსახურებიან.

გაიხსნება საბაზო მოედანიც, რომლის მოწყობაში უშუალო მონაწილეობას მიიღებს საქართველოს კალათბურთის ფედერაცია.

ერთი სიტყვით, ქუჩას კალათბურთი უბრუნდება.

ელენე რუსეთში რჩება, როგორც ქართველი

გიგა გურასაშვილი

არცთუ ისე დიდი ხნის წინათ საქართველოში არსებულ ერთადერთ, ისიც არასტანდარტულ ყინულის მოედანზე "ლუკოილის" თაოსნობით მოცეგურავეთა საჩვენებელი ტურნირი მოეწყო. ფიგურული სრიალის პატარა ოსტატებმა "ლუკოილის" მესვეურები იმდენად მოხიბლეს, რომ გადაწყვიტეს, ფინანსურად დახმარებოდნენ. პირობაც დადეს: ელენე გედევანიშვლს, რომელმაც ოლიმპიურ თამაშებზე გვასახელა, სტიმულის სახით ფულად პრემიას გადავცემთ, ოღონდ თბილისში უნდა ჩამოვიდესო.

"ლუკოილ ჭორჭიამ" პირობა შეასრულა.

ახლა ელენე გედევანიშვილი საქართველოშია და 26 მაისს საჩვენებელ გამოსვლას გვპირდება. "ლუკოილმაც" პირობა შეასრულა და ელენე სათავო ოფისში მიიწვია.

"ამა თუ იმ ტურნირზე ელენეს გამოსვლა ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია, - თქვა გუშინდელ წვეულებაზე "ლუკოილ ჯორჯიას" გენერალურმა მდივანმა ზაზა ქათამაძემ, - მისი მიღწევები ბევრისთვის სამაგალითოა. "ლუკოილ ჯორჯია" ყოველთვის მის გვერდით იქნება, რადგან ვაფასებთ მის წარმატებებს და გულით ვქომაგობთ".

ჟურნალისტებს გვაინტერესებდა ქართველი მოციგურავის სამომავლო გეგმები, უფრო სწორად, ის, თუ სად გააგრძელებს ვარჯიშს. საქმე ისაა, რომ საქართველოსა და რუსეთის ბოლოდროინდელი ურთიერთობის გამო დღის წესრიგში დადგა ელენეს სხვაგან ვარჯიშის აუცილებლობა. კერძოდ, ამერიკაში. თუმცა, ელენემ თქვა, ჯერჯერობით ისევ რუსეთში ვრჩებიო.

თეო უოლკოტი - ინგლისელთა ახალი რუნი?

მარი ჭავახიშვილი

მსოფლიო ჩემპიონატის წინ ინგლისის ნაკრების განაცხადში ამ ვუნდერკინდის გვარის გამოჩენამ თითქმის მთელი საფეხბურთო სამყარო (თვით ნისლიანი ალბიონის ჩათვლით) გააოგნა.

მსოფლიო ჩემპიონატის განაცხადში მის მოხვედრას, 17 წლის ფეხბურთელის უსაზღვრო ნიჭის მიუხედავად, ბევრი სკეპტიკურად უყურებს. ერთი სიტყვით, ინგლისის ნაკრების შვედი თავკაცის სვენ გორან ერიქსონის გადაწყვეტილებას - ნაკრებში თეო უოლკოტის გამოძახებას - ბევრი ახსნა მოუძებნეს, თუმცა საბოლოოდ მაინც დაასკვნეს, რომ შვედის საქციელი ლოგიკას არ ექვემდებარება.

როგორც წესი, დიდი ტურნირების წინ ამა თუ იმ ქვეყნის ნაკრებთა მხრიდან ხშირია ასეთი თამამი გადაწყვეტილებები, თუმცა ჩვენ ინგლისის მაგალითს შევეხებით.

არსებობს ქვეყნები, რომლებიც ნიჭიერი მოთამაშეების ნაკლებობას განიცდიან. ამიტომ გუნდის თავკაცები იძულებულნი არიან ეროვნულ გუნდში ჯერაც პირზე რძეშეუმშრალი ფეხბურთელები გამოიძახონ.

ამ მხრივ ინგლისი გამონაკლისია. ფეხბურთის სამშობლო არასდეს უჩიოდა ძლიერი ფეხბურთელების ნაკლებობას. თუმცა, არც ნიჭიერი ახალგაზრდა მოთამაშეების აყვანისგან იკავებდა თავს. და, როგორც წესი, ეს ბიჭები ნამდვილი ვარსკვლავები ხდებოდნენ.

ასე იყო 18 წლის მაიკლ ოუენის შემთხვევაში, რომელმაც ნამდვილი ფურორი მოახდინა 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

ექვსი წლის შემდეგ კონტინენტის პირველობაზე ინგლისელთა შორის კიდევ ერთმა ვუნდერკინდმა უეინ რუნიმ გაიბრწყინა, რომელმაც, შესაძლოა, ტრავმის გამო გერმანიაში ისე ვერ ითამაშოს, როგორც ეს ორი წლის წინ პორტუგალიაში მოხდა.

წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატზე ახალი ვარსკვლავის ამობრწყინებას ელიან. ამიტომ **გირჩევთ ახლავე დაიმახსოვროთ ეს სახელი და გვარი - თეო უოლკოტი, 17 წლის.**

არაფერი გსმენიათ მის შესახებ? - მართალიც ბრძანდებით, ვერავინ გაგამტყუნებთ.

მხოლოდ მისი სატრანსფერო თანხის შესახებ თუ გეცოდინებათ. ამ თანხამ 5 მილიონი ფუნტი სტერლინგი შეადგინა და, სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაიზრდება.

ნიჭიერი თინეიჯერი ამ ზამთარს ევროპისა და ინგლისის ერთერთი უძლიერესი კლუბის, ლონდონის "არსენალის" შენაძენი გახდა. ლონდონელებმა ფეხბურთელი ინგლისის პირველ დივიზიონში მოასპარეზე "საუთჰემპტონს" გამოსტყუეს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია: უოლკოტს პრემიერლიგაში არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია. მაგრამ პრემიერლიგაში თამაშს ვინ ჩივის, რანგით დაბალ ჩემპიონატშიც ამ სეზონის დასაწყისში ჰქონდა დებიუტი. საერთო ჯამში მის ანგარიშზე 21 მატჩი და 4 გოლია. 21-დან კი მხოლოდ 13-ჯერ მოხვდა ძირითად შემადგენლობაში!

"მეთოფეებში" გადასვლის შემდეგ თეოს სარეზერვო გუნდში უწევდა თამაში და ძირითადის გაცნაბადში მხოლოდ რამდენჯერმე მოხვდა, მათ შორის ერთხელ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მადრიდის "რეალთან" გასვლით მატჩში.

"ის მსოფლიო ჩემპიონატზე ითამაშებს ისე, რომ პრემიერლიგაში არ უთამაშია? ჰმ, საოცარია... არ ვიცი, ვინ არის", - ასეთი იყო "ბარსელონას" კამერუნელი თავდამსხმელის სამუელ ეტოოს პასუხი, როცა მას თეო უოლკოტზე ჰკითხეს.

თავის მხრივ, ეტოო ის ფეხბურთელია, რომელიც 1998 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე, 17 წლისა და 99 დღისა, პირველად მოხვდა კამერუნის ნაკრებში. მისი დებიუტი კი იტალიელების წინააღმდეგ მეოთხედფინალურ მატჩში შედგა. კამერუნელის მიღწევის გაუმჯობესების კარგი შანსი აქვს ინგლისელ თინეიჯერს. "მაგრამ რადგან მწვრთნელმა საჭიროდ ჩათვალა მისი ნაკრებში გამოძახება, ესე იგი, კარგი ფეხბურთელია და ეს მუნდიალზე უნდა დაამტკიცოს", - დაამატა ეტოომ.

სხვების მსგავსად, ერიქსონის გადაწყვეტილებით გაკვირვებულია "ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ლიდერი სტივენ ჯერარდი: "თავიდან, როცა ერიქსონის გადაწყვეტილება გავიგე, ცოტა გავოცდი, თუმცა მიმაჩნია, რომ ეს სულელურად გადადგმული ნაბიჯი არ იქნება. ვფიქრობ, უოლკოტი ჩვენი ნაკრების ტუზი იქნება. თეო საინტერესო და კარგი სიჩქარის მქონე ფეხბურთელია. ალბათ წლევანდელი ჩემპიონატის მთავარი სენსაციაც გახდება, რადგან აქამდე არავინ იცნობდა. მას კარგი მონაცემები აქვს და დიდი ნიჭის პატრონია. თავად მისტერ სვენი გამოტყდა, რომ თეოს წაყვანით დიდ რისკზე მიდის, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ეს ბიჭი გაგვიმართლებს".

გაინტერესებთ, რას ამბობდა უოლკოტი მაშინ, როცა შეიტყო, რომ ნაკრებში გამოიძახეს? "საუთჰემპტონში" 16 წლისა მივედი და იოლად გადავლახე ის დაძაბულობა, რაც ამ ასაკის ბიჭებს პროფესიულ კლუბში მოხვედრისას უჩნდებათ ხოლმე. უკვე ერთი წელი მომემატა და კიდევ უფრო ადვილად შემიძლია დავძლიო ის შოკი, რაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის ნაკრებში გამოძახებისას მივიღე. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ იმ 23 ფეხბურთელს შორის მოვხვდებოდი, ვინც გერმანიაში ითამაშებს. **სულ რაღაც 6-7 წელია, რაც ფეხბურთს ვთამაშობ. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ასე მოკლე დროში ასეთ წარმატებას მივაღწევდი. როცა 2002 წლის მსოფლიო პირველობას ვუყურებდი, ვერც ვიფიქრებდი, რომ ოთხი წლის შემდეგ მუნდიალზე მეც ვითამაშებდი".**

ინფოთეკა

"დინამო" 25-ში დაიწყებს მზადებას

საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თბილისის "დინამო" მომავალი სეზონისთვის 25 მაისს დაიწყებს მზადებას. როგორც გუნდის ხელმძღვანელობამ გვითხრა, "დინამო" ინტერტოტოს თასის გათამაშებაში აუცილებლად ჩაებმება. ამიტომ იწყება ნაადრევად მომავალი სეზონისთვის მზადება.

25 მაისს "დინამო" შეიკრიბება და გაირკვევა, თუ რა სიახლეები იქნება გუნდში. ჯერჯერობით კი ფეხბურთელები ისვენებენ.

"ცხინვალს" ტექნიკური მოგება ჩაეთვალა

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის დისციპლინარული კომიტეტის სხდომაზე 15 მაისს "გაგრასა" და "ცხინვალს" შორის გამართულ მატში მომხდარი ინციდენტი განიხილეს. შეგახსენებთ, რომ "გაგრა" და "ცხინვალი" უმაღლესი ლიგის საგზურისთვის დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მატჩი დამატებითი დროის მე-20 წუთზე ჩაიშალა. მაშინ, როდესაც "ცხინვალი" 2:1 იგებდა, მინდორზე ჩხუბი ატყდა და მსაჯმა მატჩი შეწყვიტა.

დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებით, "ცხინვალს" ჩაეთვალა ტექნიკური გამარჯვება ანგარიშით 3:0, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ სეზონში ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონატის ელიტურ დივიზიონში იასპარეზებს.

ამასთან, მოედანზე გულშემატკივრების შეჭრის გამო კლუბი "გაგრა" 1250 ლარით დაჯარიმდა.

აგრეთვე დაისაჯნენ ორივე გუნდის ფეხბურთელები და წარმომადგენლები. "ცხინვალის" ფეხბურთელი ბექა ჩიტაია ორი თამაშითაა დისკვალიფიცირებული და 200 ლარი ჯარიმა დაეკისრა. კლუბის წევრი გიზო შენგელია 5 მატჩს გამოტოვებს და 300 ლარს გადაიხდის.

"გაგრის" ფეხბურთელები: ლაშა მამუკაშვილი - 3-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 200 ლარი ჯარიმა, ზურაბ ახობაძე - 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 500 ლარი ჯარიმა, კოტე ავალიანი - 2-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 200 ლარი ჯარიმა, თამაზ სამხარაძე (მწვრთნელი) - 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 300 ლარი ჯარიმა, გოჩა ჩაკვეტაძე (მასაჟისტი) - 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 300 ლარი ჯარიმა, ჯონი ჩაკვეტაძე (ადმინისტრატორი) - 10-მატჩიანი დისკვალიფიკაცია და 300 ლარი ჯარიმა.

კლაუს ტოპმიოლერი სლოვაკეთშია

საქართველოს 19 წლამდელთა ნაკრები თურქებთან შეხვედრისთვის მზადებას განაგრძობს. მთავარმა მწვრთნელმა ჰაინც ტოპმიოლერმა გუნდი გუშინ ერთხელ ავარჯიშა. ჩვენი ნაკრების ყველა ფეხბურთელი მწყობრშია. ეს ინფორმაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურმა გაავრცელა.

ოთხშაბათ საღამოს სლოვაკეთში საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავრი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერიც ჩავიდა და ძმას ახალგაზრდა ქართველი ფეხბურთელების მომზადებაში დაეხმარება.

სფფ-ს პრესსამსახურის ცნობით, საქართველოს ნაკრები ფირმა "დიადორას" ეკიპირებით ვარჯიშობს და ოფიციალურ მატჩსაც ამ ფირმის მაისურებით გამართავს.

კოკაი წინ მიიწევს

ქართველმა სუმოისტმა კოკაიმ მაისის ბაშოზე მორიგი ორთაბრძოლა მოიგო. ახლა ლევან ცაგურიას აქტივში 7 გამარჯვება და 5 მარცხია. ტურნირის მე-12 დღეს კოკაი მეოთხე მაიგეშირა ტაკეკაზეს დაუპირისპირდა და ოშიდაშის ილეთით მოახერხა ორთაბრძოლის მოგება.

ახლა ჩვენებურს კიდევ ერთი გამარჯვება სჭირდება იმისთვის, რომ ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულოს და რეიტინგში წინ წაიწიოს. წესით, ეს გამარჯვება კოკაიმ დღესვე უნდა მოიპოვოს, როდესაც მე-12 მაიგეშირა ტაკამისაკარის დაუპირისპირდება. კოკაის მეტოქეს 12 ორთაბრძოლაში 6 გამარჯვება აქვს მოპოვებული და ექვსჯერაც დამარცხდა.

ევროპარლამენტი ირანის წინააღმდეგ

სააგენტო როიტერის ცნობით, ევროპარლამენტის ხუთმა დეპუტატმა მოუწოდა ფიფას, რომ ირანის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალიდან მოიხსნას. როგორც იცით, ცოტა ხნის წინ ფიფამ ყურად არ იყო აშშ-სა და რამდენიმე წამყვანი ქვეყნის ლიდერის ანალოგიური მოთხოვნა.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის განცხადება

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნებისათვის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევ ხელახალ კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:

საოლქო საარჩევნო კომისია:

№	საოლქო საარჩევნო კომისიის № და დასახელება	საოლქო საარჩევნო კომისიაში არსებული ვაკანსიები	თანამდებობრივი განაკვეთი
1.	N52 ბაღდათი	1 წევრი	250 ლარი

საბუთები მიიღება საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში 2006 წლის **22 მაისიდან 31 მაისის** ჩათვლით, ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 11-დან 17 საათამდე, შესვენება 13-დან 14-საათამდე, შემდეგ მისამართზე: **ქ.თბილისი,** რუსთაველის **გამზ,** 29, მე-3 სართული, ოთახი N327.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით:
ტელ: 98-70-12, 98-70-13.
ან იხილეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ვებ-გვერდი:
www.cec.gov.ge

ინფორმაცია

"სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ქობულეთის რაიონის გამგეობა წარმოგიდგენთ ინფორმაციას ქობულეთის რაიონის გამგეობის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულების დადების შესახებ

№	შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ფორმა	გამარჯვებული პრეტენდენტი	ხელშეკრულების გაფორმების თარიღი	სახელშეკრულებო ღირებულება
1	ქობულეთის რაიონში მცხოვრები უსინათლო I ჯგუფის პენსიონერთა ოჯახების, მარტოხელა პენსიონერთა ოჯახების, დედ-მამით ობოლ ბავშვთა ოჯახების, ომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანების, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრების, სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მარჩენალდაკარგულთა თხევადი აირით უზრუნველყოფა	ტენდერი	შპს "ქობულეთგაზი	21.03.2006	149 993
2	ქ. ქობულეთის მაღლივი კორპუსების სახურავისათვის ტალღისებური შიფერის შესყიდვა 11700 მ 2	ტენდერი	დევრიშაძე პეტრე	16.03.2006	67954
3	ქ. ქობულეთში და დაბა ჩაქვში სოციალურად დაუცველი ფენისათვის (200 კაცი) მუნიციპალურ უფასო სასადილოში ცხელი საკვებით უზრუნველყოფისათვის კვების პროდუქტების შესყიდვა	ტენდერი	შპს "ლემა" მახარაძე მამია	9.03.2006	108 189
4	1) ქ. ქობულეთში თბილისის, მეგობრობისა და კოსტავას ქუჩების კეთილმოწყობის სამუშაოები 2) ქ. ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს კეთილმოწყობის სამუშაოები	ტენდერი	1) შპს "იმედი-კ-2005" 2) შპს "ქობულეთის ავტოგზა"	11.04.2006 11.04.2006	1) 260500 2) 154200
5	1) ქ. ქობულეთსა და სოფ. ციხისძირში საცხოვრებელი სახლების ფასადების შეღებვა 2) დაბა ჩაქვში საცხოვრებელი სახლების ფასადების შეღებვა 3) ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირზე ლითონისა და რკინის ღობეების შეღებვა	ტენდერი	1) ინდ.საწარმო "ზაური ვერულიძე" 2) სას "ქობულეთმშენი" 3) სას "ქობულეთმშენი"	25.04.2006 25.04.2006 25.04.2006	1) 130000 2) 112200 3) 39700
6	ქობულეთის რაიონის სოფ. ციხისძირის წყალსადენის სამშენებლო სამუშაოები	ტენდერი	შპს "ინტურისტმშენი"	11.05.2006	1118707
7	ქ. ქობულეთის ქუჩების დაგვა და ნარჩენების გატანა	ტენდერი	შპს "სანდასუფთავება"	1.05.2006	87500

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის განცხადება

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიცია აცხადებს სტაჟიორთა მიღებას.

პოლიციაში სტაჟირების გავლის მსურველმა კანდიდატმა პოლიციის კადრების სამსახურს უნდა წარუდგინოს შემდეგი საბუთები:

ა) პირადი განცხადება.

ბ) დახასიათება-შუამდგომლობა - ფინანსური პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო დანაყოფის ხელმძღვანელი პირის, ხოლო დამამთავრებელი კურსის სტუდენტმა დამატებით უნდა წარმოადგინოს აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის ხელმძღვანელის ან დეკანის დახასიათება-შუამდგომლობა.

გ) ავტობიოგრაფია.

დ) დიპლომის ასლი. (უმაღლესი განათლების პირთათვის).

ე) ორი ფოტო სურათი.

კანდიდატები სტაჟირებას გაივლიან ფინანსური პოლიციის სტრუქტურულ ქვედანაყოფებში. სტაჟირების შედეგების დადებითი შეფასების შემთხვევაში სტაჟიორს ეძლევა სტაჟირების გავლის სერთიფიკატი და ირიცხება პოლიციის მონაცემთა ბაზაში.

საბუთები მიიღება 2006 წლის 29 მაისიდან 3 ივნისამდე 10 საათიდან 18 საათამდე (შესვენება 13 საათიდან 14 საათამდე) ფინანსური პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში (უნივერსიტეტის ქ. N2).

დამატებითი ცნობებისათვის დარეკეთ ტელეფონებზე: 24 14 37; 24 14 56.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
ფინანსური პოლიცია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ხელახლ ღია საერთაშორისო ტენდერს სხვადასხვა სახის ავეჯისა და საყაზარმე ინვენტარის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტი- სხვადასხვა სახის ავეჯი და საყაზარმე ინვენტარი
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 15 ივნისის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 16 ივნისიდან 2006 წლის 21 ივნისის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 21 ივნისის 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

საქონლის მიწოდების გრაფიკი

ლოტი №	პროდუქციის დასახელება	განზომილების ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 20 დღის განმავლობაში)	მიწოდების ადგილი
1	საჯარისო საწოლი 2 სართულიანი	ც.	496	01.07.06-31.12.06	უფლისციხე
2	სამუშაო სავარძელი (ხაოფიხე)	ც.	97		
3	სასადილო მაგიდა 6 კაციანი	ც.	266		
4	სუფრა ცვლახლგამძლე ერთფენოვანებიანი	ც.	29		
5	სუფრა ცვლახლგამძლე ერთფენოვანებიანი	ც.	43		
6	რკინის კარადა	ც.	74		
7	კონდიციონერი	ც	120		
8	მატრასი ზამბარიანი	ც	3000		
9	მატრასის ქვესაგები	ც	2500		

სატენდერო კომისია

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ტენდერს ორგტექნიკის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტი- ორგტექნიკა
დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ადგილზე მიტანით, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 14 ივნისის 14.00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადახდილ უნდა იქნას შემდეგ ანგარიშზე:

ბიუჯეტის შემოსულობების ერთიანი ანგარიში, არასაგადასახადო (ვაკე-საბურთალო)
ეროვნული ბანკი
ანგ. N 200122900
ბანკის კოდი: 220101107
სახაზინო კოდი: 300043133

პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 15 ივნისიდან 2006 წლის 19 ივნისის 15:00 სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი ოთახი N201. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთაღნიშნულ მისამართზე 2006 წლის 19 ივნისის 15:00 საათზე.

- საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, მის ქონებაზე ყადაღის არ არსებობის შესახებ
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია.
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან მისი ქმედუნარიანობის შესახებ.
2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება
3. ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ მისი ხელმძღვანელ(ებ)ი ბოლო 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის

როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

1. ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
2. ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

ზემოთჩამოთვლილი საკვალიფიკაციო მონაცემები აგრეთვე ეხება სუბ-კონტრაქტორებს, მათი არსებობის შემთხვევაში.

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანოებიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებული, თარგმანის სახით.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

ტენდერში თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

ტენდერში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი გამოყენებულ იქნა შემდეგი სახით: საბანკო გარანტია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით, ნაკისრი ვალდებულების შესრულებამდე.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატის წევრს: სერგო ჩიტაიშვილი, ტელ: 91-03-54. ქ. თბილისი, გენერალ გ. კვინიტაძის ქუჩა N20, თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტი, ოთახი N201.

საქონლის მიწოდების გრაფიკი

ლოტი №	პროდუქციის დასახელება	ზომის ერთ.	რაოდენობა	მიწოდების გრაფიკი (ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 დღის განმავლობაში)	მიწოდების ადგილი
1	ქსეროქსი	ცალი	12	01.07.06-31.12.06	ქ. თბილისი, გედეონაშვილის ქ. №27
2	პრინტერი	ცალი	22		
3	უწყვეტი კვების წყარო	ცალი	58		
4	კომპიუტერი	კ-ტი	54		
5	ვიდეომაგნიტოფონი	ცალი	3		
6	აუდიო მაგნიტოფონი	ცალი	3		
7	ვიდეოპროექტორი	ცალი	4		
8	თეთრი ტაბლა (დიდი)	ცალი	4		
9	დიქტოფონი	ცალი	5		

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქიატრიული დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: სტაციონარული დახმარება ქ. თბილისში (მ. შ. პირველადი ეპიზოდის კლინიკა);

II ლოტი: ბავშვთა და მოზარდთა ფსიქო-რეაბილიტაციური უზრუნველყოფა;

III ლოტი: ფსიქიკურ ავადმყოფთა (მოზრდილთა) ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია;

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9 ივნისს, 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართებისა და ბარათების წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ სატენდერო წინადადებების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გადაცემა მოხდება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

13. ტენდერში გამოვლინდება რამდენიმე გამარჯვებული.

14. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 696590, 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608; ტელ.: 694871, E-mail: **Procurement@susif.ge**.

სატენდერო კომისია

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144) აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2006 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ინფექციურ დაავადებათა მკურნალობის კომპონენტის ინფექციური დაავადებების სტაციონარული მკურნალობის ქვეკომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი: ინფექციური დაავადებებით შეპყრობილ ავადმყოფთა სტაციონარული მომსახურება ქ. თბილისში;

II ლოტი: პარაზიტულ და ტროპიკულ დაავადებათა მკურნალობა;

III ლოტი: სეფსისის მკურნალობა.

შენიშვნა: ტენდერის პირველ ლოტში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა უზრუნველყოს ლოტით გათვალისწინებული ყველა სახელმწიფო სტანდარტის შესრულება.

3. მომსახურების გაწევის ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 31 დეკემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ეს უკანასკნელი - დახურულ კონვერტში), ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 9 ივნისს, 10 საათიდან 15 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) შესაბამისი მარეგისტრირებელი ორგანოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობა, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საგადასახადო ორგანოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

ე) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3 დამატებითი მოთხოვნები როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზია, (ან ცნობა მუდმივი ლიცენზიის არსებობის შესახებ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და სერთიფიცირების დეპარტამენტიდან) შესასყიდი სამედიცინო საქმიანობის შესახებ დანართებისა და ბარათების წარმოდგენით;

ბ) ჰიგიენური სერთიფიკატი ან ცნობა დაწესებულების ჰიგიენური მდგომარეობის შესახებ (მერიის შესაბამისი სამსახურიდან);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. ინსტრუქცია ორეტაპიან ტენდერში მონაწილეთათვის:

პირველადი სატენდერო წინადადება, დახურულ კონვერტში, ფინანსური მახასიათებლების გარეშე წარდგენილ უნდა იქნას სატენდერო კომისიაში.

პირველადი სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის დასახელება;

გ) მომსახურების ზოგადი აღწერილობა;

დ) ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;

ვ) ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირის სამედიცინო პერსონალის საშტატო განრიგი და ხელმძღვანელის წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ დაწესებულებაში დასაქმებული მაღალი სამედიცინო პერსონალი სერტიფიცირებულია კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

ზ) შევსების თარიღი და ხელმოწერა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. მეორე ეტაპზე სატენდერო კომისია იწვევს მხოლოდ იმ მონაწილეებს, რომლებიც თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებითა და შემოთავაზებული წინადადებით შეესაბამებიან პირველი ეტაპისათვის დადგენილ პირობებს.

10. ტენდერის პირველი ეტაპის შედეგები სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ სატენდერო წინადადებების წარმომდგენ პირებს.

11. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის გაცემის დაწყება-დამთავრების თარიღი ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს ეცნობებათ დამატებით. სატენდერო დოკუმენტაციის პრეტენდენტთათვის გადაცემა მოხდება 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, შემდეგ ანგარიშზე: ანგ. N200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000, გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144. მეექვსე სართული, ოთახი 608.

12. პრეტენდენტებს უფლება აქვთ თითოეულ ლოტზე წარმოადგინონ მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება.

13. ტენდერში გამოვლინდება რამდენიმე გამარჯვებული.

14. სატენდერო წინადადებისა და გამარჯვებულ პრეტენდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადებისა და ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი საბანკო გარანტიის სახით.

15. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: ლალი დევიძე ტელ.: 696590, 694871, მაკა ჩაჩანიძე ტელ.: 697507 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული, ოთახი 608; ტელ.: 694871, E-mail: **Procurement@susif.ge**.

